პარასკევი, 1918 წ. გიორგობისთვის 22 № 224

პარასკევი. 1918 წ. გიორგობისთვის 22 № 224

წელიწადი მეოთხე

ფასი თბილისში და პროვინციაში 50 კაპ. რკ. გზის სადგურებზე

ბიბლიოთეკა

საქართველო

რ ე დ ა ქ ც ი ა

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

კ ო ნ ტ ო რ ა

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება—25 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 10 მანეთი. ცალკე № 50 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მან. უკანასკნელზე—80 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 (ახ. დრ.) საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

უკანასკნელი ცნობები

გერმანეთის კანცლერმა ებერტმა განაცხადა, რომ მოკლე ხანში მოიწვევს დამფუძნებელ ყრილობას.

საამირბაროს ცნობით საზღვაო ცენზურა 20 გიორგობისთვიდამ მოიხსნება.

ბელგიაში რევოლუციამ იფეთქა. ბრიუსელში ბატონობს უკიდურესი მიმართულების გერმანელ ჯარისკაცთა საბჭო.

შვეიცარიაში კავშირის საბჭო შექმნილი მდგომარეობის გამო 12 დივიზიის მობილიზაციას ახდენს.

პოლონეთში რკინის გზებზე გაფიცვა მოხდა. ლვოვის ქუჩებში სასტიკი ბრძოლაა.

რუმინიაში გამოცხადებული მობილიზაციის გამო ბესარაბიიდან ხალხი დნესტრის მარცხენა ნაპირზე გარბის.

სახელმწიფო თეატრი

პარასკევს, გიორგობისთვის 22-ს

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

მეორედ, შეცვლილი ანსამბლით

სარწმუნოება

რეჟისორი: გ. ჯაბადარი. ◆ ადმინისტრატორი: მიხ. ხერხეულიძე.

(3—3)

სახელმწიფო თეატრი

საოპერო დასი ევლახოვისა

შაბათს, 23 გიორგობისთვეს ტ. საბანეევას, ა. ზალიპსკის და ვ. პოლთაევას მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

ტრავიატა

ოპერა 4 მოქმ., მუსიკა ვერდისა.

ფასები შესამჩნევად დაწეულია. ◆ დასაწყისი საღ. 8 საათზ.

კვირას, 24 გიორგობისთვეს, დილით შვალიბერის, მოლჩანოვის და ნიკოლსკის მონაწილეობით „ფაუსტი“.

სალამოთი მ. ი. ალეშკოს, კანშინის და ორდას მონაწილეობით „ტოსკა“.

სამშაბათს, 26 გიორგობისთვეს ტ. ი. საბანეევის, ზალიპსკის, პოლიაევას და ნიკოლსკის მონაწილეობით „სევილიელი დალაქი“.

ბრძანება

გენერალ-გუბერნატორის

საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზების და ფოთის ნავთსადგურის—მისი რაიონით.

№ 3.

ვალდებულად ვსთვლი მცხოვრებს საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზის მიდამოებში და ფოთის პორტში მისი რაიონით (გარდა რკინის გზისა და ფოთის ნავთსადგურის მილიციის და სამხედრო დარაჯთა დაუყონებლივ ჩააბარონ ადგილობრივ თავის რაიონის უფროსებს ხელ-წერილის ქვეშ ყოველ გვარი იარაღი, რომელიც მათ აქვთ, აგრეთვე ასაფეთქებელი მასალები და საომარი ხელსაწყო ერთი კვირის განმავლობაში—დღიდან ამ განკარგულებისა.

ადრე აღებული მოწმობები ყოველ გვარ იარაღის ტარების და შენახვის შესახებ ჰკარგავს ძალას ზემო აღნიშნულ ვადის შემდეგ.

ამ ჩემი ბრძანების დამრღვევნი დასჯილი იქნებიან 6 გიორგობისთვის სავალდებულო დადგენილების ძალით.

გენერალ-გუბერნატორი, გენერალ-მაიორი **ყარალაშვილი.**

კანცელარიის მმართველი **ჩუბინიძე.**

15 გიორგობისთვე 1918 წ. ქ. თბილისი.

სამაჰმადიანო საქართველო

ევროპის ომის ცეცხლი თანდათან ჰქრება, მაგრამ დაქრობილ ცეცხლზე უფრო ანათებს ახალი ალი ეროვნულ რევოლუციების და ხალხთა თავისუფლებისა. ბერლინის და პარიზის ქუჩებზე მანიფესტაციებს ერთნაირი სიხარულის და გამარჯვების ელფერი აქვთ.

თუ ფრანგები ელზას-ლორენის შეერთებას დღესასწაულობენ, გერმანელები რესპუბლიკის მოპოებასთან ერთად გერმანული ავსტრიის შემოერთებას შეჰხარიან.

ევროპაში არ დარჩენილა არც ერთი ერი ერთი ეროვნება, რომლის დროშაც არ იყოს გამარჯვებით აშვებული და არ დღესასწაულობდეს ეროვნულ აღორძინებას.

ამ დიდი ამბების ჩრდილი კავკასიასაც დაადგა. ოსმალეთი, რომელიც იმ თავითვე თავს ადგა კავკასიის ერებს, როგორც ბებერი ჯალათი, დაგვიანებით, მაგრამ მაინც თავის დროზე დასჯილია. მისი შინაგანი მოდუნება და საგარეო საქმეების არევა გულისხმობს, რომ ოსმალეთის იმპერიალიზმი სამუდამოთ დაღუპულია და პოლიტიკურ ანგარიშში თითქმის მისაღები აღარ არის.

სომხებმა კიდეც იგრძნეს თავიანთი დაჭრილი სხეულის გამთელება და ღარ მალავენ სიხარულს; მხოლოდ საქართველო ვერ ერევა ამ ფერხულში და კიდევ ინახავს გულში სიმწარეს.

საქრისტიანო საქართველომ თუმცა დაიღწია თავი რუსეთის ბატონობას და იმედიც არის, რომ ეს განთავისუფლება სამუდამოა, მაგრამ საქართველოს სხეული ჯერ კიდევ არ არის გამთელებული და ამიტომ თავისუფლებაც ვერ ანათებს ისე, როგორც შეეძლო სხვა დროს გაენათებია.

საქრისტიანო საქართველო მონობის დროსაც თავისუფალი იყო სულიერათ, იქ იმდენად მომწიფებული იყო შინაგანი გრძნობა ეროვნული შეგნების და სახელმწიფოებრივი ტრადიციების, რომ როგორც კი შესაფერი პირობები ნახა დაგუბებულმა ენერგიამ, მაშინვე ამოხეთქა ახალ სიცოცხლისთვის.

მხოლოდ უწინაც და დღესაც სამაჰმადიანო საქართველოს ბედი გამოურკვევლობის ბურუსშია.

ოსმალეთის გამხრწნელმა, ყიზილბაშურმა პოლიტიკამ თავისი გაიტანა. მაჰმადიანი ქართველები ჯერ კიდევ ვერ გრძნობენ თავს ქართველებათ და მათი ეროვნული შეგნება მთვლემარეა.

ყველა სიმწარეზე, რაც საქართველოს უნახავს ოდესმე, უმწარესი იყო ის დღეები, როცა ოსმალეთის აგენტების წყალობით ქრისტიან ძმებზე აამხედრეს მაჰმადიანი მესხები; ჩვენ არასდროს არ მოვიგონებთ ამ წამებს სასაყვედუროდ; სხვანაირი მოქცევა შეუძლებელი იყო მაჰმადიან ქართველებისაგან, როცა ისინი იმყოფებოდენ ისეთ გავლენის ქვეშ, როგორც ოსმალეთის ბაში-ბუზუკები და რამდენიმე მათგან მოყიდული ქართველი ბეგები, რომელნიც შეგნებულად ღალატობდენ კიდეც საქართველოს.

ეს წარსულის ამბავია: საქართველოს თავისუფლებისთვის ბრძოლის ერთი ეპიზოდი.

დღეს ხელმეორედ დგება ქართული პოლიტიკის წინ სამაჰმადიანო საქართველოს პრობლემა.

ეს საკითხი, თუ ეხლავე არ გადაწყდა, როგორც საჭიროა, მაშინ ის სამუდამო იარათ დარჩება საქართველოს და შეუძლებლათ გახდის ეროვნულ აღორძინებას.

ფაქტიურათ საქმე ასეა:

ინგლისელებთან დადებულ ზავის პირობების თანახმათ ოსმალებმა უნდა დასცალოს წართმეული პროვინციები. როგორც სხვა და სხვა ცნობებიდან ვტყობილობთ — ევაკუაცია თითქო ხდება კიდეც, მაგრამ ამ მხარეში ხელახლა იმბება პროვოკაციის ქსელები. ბათომში მოღვაწეობენ რუსი ოფიცრები, რომელნიც ოსმალეთის ჯამაგირს იღებდენ და ოსმალების წასვლის შემდეგ თავიანთ რუსულ პოლიტიკას აწარმოებენ. დაცლილ ადგილებს, როგორც მთის ზვავი აწვება სომხების ლტოლვილთა ბრბო, რომ დაიჭირონ მიტოვებული ადგილები; და ამ დროს ქართველების შესახებ არაფერი ისმის.

ჩვენი მთავრობა მხოლოდ იმას უნდება, რომ უარყოს სომხების პროვოკაცია ლტოლვილთა დახოცვის შესახებ; სომხებმა მოასწრეს კიდეც ისეთი ატმოსფერის დაყენება, რომ შეუძლიათ რაც უნდა ჰქნან ამ პროვინციებში; მათ დამშლელი არავინ ეყოლება... იმათ უნდოდათ ქართულ მთავრობის ტერორის მოხდენა და რამდენიმეთ მიზანს მიაღწიეს კიდეც...

მაჰმადიანების ყუმბარებიც ვერ უშლის ლტოლვილებს ამ ადგილების დაკავებას, ასე, რომ როცა საქართველოს მთავრობა დიპლომატიურ მოლაპარაკების შემდეგ შეეცდება ამ მხარეში შესვლას, იქ ადგილები უკვე დაკავებული გამოდგება და მანამდი ქართველი ლტოლვილები მართლა დაიხოცებიან ბაკურიანის ტყეებში.

ოსმალეთი მართლაც იძულებული იქნება დასცალოს ეს ადგილები, მაგრამ იქ საკმაოთ დარჩებიან კიდევ მისი აგენტები, რომელიც განაგრძობენ ალბათ ნაჩვევ პოლიტიკას საქართველოს წინაალმდეგ, და თუ საჭირო გახდა ხელახლა რეფერენდუმი, არც მისი შედეგი იქნება მოულოდნელი, როგორც უწინ იყო.

ჩვენ წინაც არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ ს.-დემოკრატების აგიტატორებმა რევოლუციის დროს უფრო წაახდინეს საქმე სამაჰმადიანო საქართველოში. რამდენიმეთ ამის შედეგი იყო აჭარლების საქმე ბათომთან. ამის შემდეგ სოციალდემოკრატებმა ბევრი შეცდომები გაასწორეს და ამ ერთ წელიწადში ჭკუაც ისწავლეს: ისინი არ დაივიწყებდენ ალბათ ბათომის გამოცდილებას.

დღეს ქართულ პოლიტიკას უფრო დიდი საქმე არა აქვს, როგორც სამაჰმადიანო საქართველოს დაბრუნება და მისი საქმის მოწესება... როცა საქართველო მაჰმადიან ქართველებს დაელაპარაკება, როგორც სახელმწიფო და მესხეთში აგიტატორების მაგიერ მცოდნე და დამაჯერებელი ხალხი გამოჩდება—მაშინ შეიძლება სხვა შედეგი მივიღოთ.

ალბათ თვითონ ქართველი მაჰმადიანებიც დარწმუნდენ ოსმალეთის ორპირობაში და მოღალატე პოლიტიკაში; ამ გამოცდილებას ისინიც გამოიყენებენ.

ყოველ შემთხვევაში მორიგი საკითხია სამაჰმადიანო საქართველოს ბედი, მის სწორ გადაჭრაზე არის დამოკიდებული საქართველოს მომავალი.

პრესსა

სომხები ამიერ-კავკასიის კონფერენციის შესახებ.

„აშხატავორი“ მოწინავე წერილს უძღვნის სომხეთის პარლამენტის 8 გიორგობისთვის სხდომას, რომელზედაც ირჩეოდა საკითხი ამიერ-კავკასიის კონფერენციისა და შემდეგს გადმოგვცემს:

„როგორც სოციალ-დემოკრატები, მალხაზიანის პირით, ისე სოციალისტ-რევოლიუციონერები, წინაალმდეგი იყვნენ როგორც ფორმის, ისე არსებითად კონფერენციისა. ყველა ფრაქციებმა და მათ შორის დაშნაკელებმაც უარჰყვეს ერთნაირი მოტივით ისეთ კონფერენციაში მონაწილეობა, რომელიც იქნება გამომხატველი ქართული ნაციონალურ ჰეგემონიისა.

პრინციპიალურად მათ აღიარეს საჭიროდ კავკასიის კონფერენცია, მაგრამ დაადგინეს, არ მიიღონ მონაწილეობა 10 გიორგობისთვის კონფერენციაში, აგრეთვე იყო წინადადება, რომ მოუმზადოს ნიადაგი კონფერენციის ორგანიზაციისათვის და წინდაწინ მოეწყოს მორიგება სხვა მთავრობებთან კონფერენციის საკითხზე, შემადგენლობაზე, დღის წესრიგზე და დროზე.

სადავო საკითხი საზღვრების შესახებ საქართველოსა და სომხეთის შორის ამ კონფერენციასთან არავითარ კავშირში არ უნდა იყოს, ეს საკითხი უნდა გადაიჭრას, მხოლოდ ამ ორ რესპუბლიკათა წარმომადგენლების შეთანხმებით. ეს სხდომა—განაგრძობს გაზეთი, ჩვენ გვგონია ისტორიული, პირველად იმიტომ რომ უარყოფილია კონფერენციაზე მონაწილეობა, რომელიც ასეთ ფორმალურ პირობებში უნდა ყოფილიყო მოწვეული, ამას აქვს ფრიად დიდი და არსებით მნიშვნელობა. ამით ბოლო ეღება ქართულ ნაციონალიზმის დამღუპველ ჰეგემონიას ამიერ-კავკასიაში.

ეს გადამწყვეტი და სოლიდარული nou passiers ამიერ-კავკასიის ერთერთ უაღრესად დემოკრატიულ რესპუბლიკის ამიერ-კავკასიაში — დიდი მუქარაა არა მარტო ქართული ნაციონალიზმისთვის, არამედ ყველა ნაციონალიზმისთვის, რომელიც ეცდება დაარღვიოს თავისუფლება და ერთობა ამიერ-კავკასიის ერებისა.

ჩვენ დიდი ხანია ვამხილეთ ეს ტენდენცია ქართველ სოც.-დემოკრატების ნაციონალისტურ ჰეგემონიისტა, ჩვენ ვკიცხავდით საეჭვო **მესამის** და სახიფათო **შუამავალის** როლს ამიერ-კავკასიის ერების შეკავშირებას და დემოკრატიათა გაერთიანების დროს“...

* * *

„სახალხო საქმე“ ეროვნულ საბჭოების შესახებ.

„სახალხო საქმე“ მეთაურს უძღვნის საქართველოში არსებულ სხვა ეროვნებათა ეროვნულ საბჭოების მოღვაწეობას. გაზეთი ერთხელ კიდევ აღნიშნავს იმ მავნე პოლიტიკას, რომელსაც ეს საბჭოები ეწევიან რესპუბლიკის საზღვრებში და მოითხოვს მთავრობამ ზომები იხმაროს აშკარა მტრების საწინაალმდეგოთ, განსაკუთრებით გაზეთი ეხება რუსთა ეროვნულ საბჭოს პოლიტიკასა და დასძენს:

დღეს არსებული ეროვნული საბჭოები უპირველესად ყოვლისა სცილდებიან ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებს, განსაკუთრებით ეს ითქმის რუსთა ეროვნულ საბჭოს შესახებ. მაგრამ საქმე ისა, რომ იგი არ კმაყოფილდება მარტო ამას. რუსთა ეროვნული საბჭო არის **პოლიტიკური ორგანიზაცია** და მერე ისეთი. რომელიც არსებითად ეწინაალმდეგება საქართველოს დამოუკიდებლობას. იგი ბუდეა ყველა იმ ელემენტებისა, რომელნიც დაცინვით შეჰყურებენ ჩვენს რესპუბლიკას და ათასგვარ ქსელს აბამენ მის სავნებლად. ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში დაბეჭდილი იყო წერილი ბათომიდან, სადაც აწერილია რუსთა პოლიტიკა. იქ ხუთასამდე რუსის ოფიცერია, რომელთაც კავშირი აქვთ თბილისის რუსთა ეროვნულ საბჭოსთან. ეს ოფიცრები ჯამაგირებს იღებენ ოსმალეთისაგან და ათასგვარ ჭორს, პროვოკაციულ ხმებს ავრცელებენ საქართველოს წინაალმდეგ ისინი ჩამოდიან ტფილისში და ბრუნდებიან ბათომს, რაღაცას ჩალიჩობენ, რაღაცას აწყობენ და ყველაფერი ეს ჰხდება თავისუფლად, რადგან ჩვენი საზღვრები ყველასათვის ღიაა და ვისაც უნდა მობრძანდება.

ყველა ზემოხსენებული გვიკარნახებს ფრთხილად მოვიქცეთ და არსებულ ეროვნულ საბჭოებს ჩამოვაშოროთ პოლიტიკური ფუნქციები ისინი უნდა გადაიქცნენ კულტურულ განმანათლებელ ორგანიზაციებათ, ხოლო უცხოელთ ეყოლებათა თავიანთი სახელმწიფოს წარმომადგენელნი, რომელნიც მათს ინტერესებს დაიცავენ. მთავრობამ თითქოს ამას წინად სწორედ ასე განმარტა ეროვნულ საბჭოების ფუნქციები, მაგრამ მისი ასრულებისაგან შორს ვართ. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს, და რათა საქართველო არ გადაიქცეს პოლიტიკურ ინტრიგებისა და პროვოკაციის მსხვერპლათ, რათა ჩვენსავე ხელით არ აღვზარდოთ ისეთი რამ, რაც ჩვენთვისვე არის საშიში და დაღუპვას მოგვინდომებს“...

ქრონიკა

◆ **პური სომხეთისთვის.** საქართველოს მთავრობამ სომხეთის მთავრობას ნება დართო ჩრდილო კავკასიაში შეძენილ პურის პირველი პარტია უტარიფოდ გაიტანოს.

◆ **ს.-დ. კონფერენცია.** 20 გიორგობისთვეს დამთავრდა საქართველოს ს.-დ. პარტიის საოლქო კონფერენცია. აირჩიეს ცენტრალური კომიტეტი.

◆ **რუსები.** საქართველოს მთავრობამ დააკმაყოფილა რუსთა ეროვნულ საბჭოს შუამდგომლობა ს. გლდანის გლეხების მიერ რუს გლეხებისათვის წართმეული მიწების დასაბრუნებლად.

◆ **რუსი ლტოლვილები.** რუსთა ეროვნულ საბჭოს ატყობინებენ ბორჯომიდან. რომ იქ ს. მიხაილოვკიდან (ართალის ოლქი) მოვიდნენ რუსი ლტოლვილები, რიცხვით 527 კაცი.

◆ **გაფიცვა.** პარლამენტის მანქანაზედ მომუშავეები გაფიცვას აპირებენ, მიზეზად ჯამაგირების მომატებას ასახელებენ.

◆ **მკვლელობა.** 21 გიორგობისთვეს დილით პაქოს ქუჩაზე ტომარაში გახვეული ახალგაზდა ინტელიგენტის გვამი იპოვეს. გამოძიება სწარმოებს.

◆ **სომხეთის ეროვნულ საბჭოს სხდომა.** დღეს საღამოს 7 საათზე საქართველოში მცხოვრებ სომეხთა ეროვნულ საბჭოს სხდომა შესდგება.

◆ **სამხედრო საპყრობილოს დაარსება,** იუსტიციის სამინისტროში სამხედრო სამინისტროსთან შეთანხმებით ირჩევა საკითხი ტფილისში სამხედრო საპყრობილოს დაარსების შესახებ.

◆ **საგანგებო სასამართლო სოხუმში,** სოხუმში მყოფი, მთავრობის წარმომადგენელი, ისიდორე რამიშვილი სთხოვს იუსტიციის მინისტრს იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე რათა საჩქაროთ დაინიშნონ სოხუმის საგანგებო სასამართლოს წევრები.

◆ **ჩვენი თანამშრომელი** ვანო დუშელი მძიმედ ავადმყოფი შეიქმნა.

◆ **სომხები.** სომეხთა დიპლომატიურ წარმომადგენელმა ჯამალიანმა გარეშე საქმეთა მინისტრს თხოვნით მიმართა, რომ სანაინში დაკავებულ სომხებს რიცხვით 250 კაცს თბილისში წასვლის ნება მიეცეთ, რადგან იგინი საქართველოსკენ რო მოდიოდენ

მაშინ მთავრობას სახელმწიფოში შემოსვლის კანონი შემუშავებული არ ჰქონია. მინისტრმა შუამდგომლობა შეიწყნარა.

◆ **ქალაქის გამგეობაში.** ქალაქის ხმოსანი ს. ს. არუთინოვი საბჭოდან გავიდა, რადგანაც იგი სომხეთში მინისტრად ამოირჩიეს. მის ალაგს საბჭომ დაადგინა კან. პ. დოლუხანოვი მიიწვიოს.

◆ **ანანოვის მამულების ჩაბარება.** ქუთაისს გაემგზავრა ცენტრ. საადგილ მამულო გამგეობის წევრის მ. ქარცივაძეს მეთაურობით საგანგებო კომისია. კომისიას დავალებული აქვს ანანოვის მამულის ჩაბარება.

◆ **გაზ. „ტიფ. ლისტოკი".** გაზეთი „ტიფლისკი ლისტოკი" სტამბით და მოწყობილებით მის რედაქტორ-გამომცემელს ბ. ხაჩატურიანცს ვინმე კრამსკისა და კადეტ დუბროვსკისთვის 1,200,000 მანეთად მიუყიდნია. ახალ რედაქციას განზრახვა აქვს თანამშრომლად რამდენიმე ქართველი ჟურნალისტები მიიწვიოს.

პროვინციის ცხოვრება

ს. გუბი. ხანგრძლივ დევნის შემდეგ შეიპყრეს ცნობილი ავაზაკი ტარასი ლოჩოშვილი და ქუთაისის საგუბერნიო ციხეში გაგზავნეს.

ქ. თელავი. ესპანურ ავადმყოფობით აუარებელი ხალხი იხოცება. მღვდლები ვეღარ ასდიან დასაფლავებას. ექიმები ვერ ასწრობენ ავადმყოფებთან სიარულს, ხოლო აფთიაქები წამლის მომზადებას.

ძევის ხიდი

იუსტიციის სამინისტრომ სთხოვა გზათა სამინისტროს დაჩქარებით ასრულებულ იქნას ინჟ. ლოხნიცკის მიერ მოთხოვნილებანი საგანგებო საქმეთა სასამართლოს გამომძიებლის რუსანოვისა ძევის ხიდის გეგმის გამოგზავნის და ყველა იმ ცნობების მოწოდების შესახებ, რაც კი სჭირდებოდა ხსენებულ გამომძიებელს. სთხოვს აგრეთვე ბრძანება გასცეს თბ. სადგურის უფროსისადმი, რათა დაუყოვნებლივ პასუხი მისცეს გამომძიებელს რუსანოვის შეკითხვაზე იმ ბილეთების რაოდენობის შესახებ, რომლებიც გაიყიდა № 3 მატარებელზე თბილისიდან სადგურ ქსანამდე ღვინობისთვის 31 ღამით და მიაწოდოს მასვე აგრეთვე მის მიერ მოთხოვნილი სხვა ცნობები.

ერობა

საქართველოს ზოგიერთ კუთხეებში საერობო არჩევნები დასრულდა კიდეც და სამაზრო თვითმართველობანი შესდგა, და მუშაობას შეუდგნენ.

გამონაკლისს შეადგენენ: ზუგდიდის, ლეჩხუმის და რაჭის მაზრები სადაც ანარქიის გამო საერობო მუშაობა ძლიერ შეფერხდა, მაგრამ ახლა აქაც გამალებული მუშაობაა. შესაძლებელია ზემო სვანეთში ცუდი ამინდების გამო გაზაფხულამდე არჩევნები არ მოხერხდეს.

იმ მაზრებში, რომელნიც დღემდე ოსმალებს ეჭირათ, ერობისათვის მუშაობა მოუხერხებელი იყო.

— ამ დღეებში თბილისის სამაზრო საერობო ხმოსანთა სხდომა შესდგება გამგეობის ამოსარჩევად.

საქართველოს პარლამენტში

14 გიორგობისთვის სხდომა

თავმჯდომარეობს ი. ბარათაშვილი.

სამღთო სჯულის სწავლის საკითხი

(დასასრული)

სპირიდონ კედიას სიტყვა

პარლამენტის წევრნო! ამ ტრიბუნაზე არა ერთხელ გვქონია შემთხვევა აღგვენიშნა, რომ ძალიან ხშირად კანონპროექტს სრულიად შეუსწავლად განვიხილავთ ხოლმე და როდესაც შემდეგ ამ კანონპროექტის ცხოვრებაში გატარებას დავაპირებთ, დიდ დაბრკოლებას ვხვდებით წინ და კანონპროექტი თავის ძალას და მნიშვნელობას ჰკარგავს.

თუ როდისმე ასეთი მოვლენა სამწუხაროთ უნდა ჩაითვალოს და უთუოდ ჩაითვლება, ეს უნდა ითქვას განსაკუთრებით დღევანდელ კანოპროექტის შესახებ. ამ მოვლენას შეიძლება დიდი ხიფათი მოჰყვეს და ეს მეტად სამწუხარო იქნება.

ამ კანონპროექტით თქვენ ბრძოლას უცხადებთ, იმ სულიერ ბურჯს რომლითაც ქართველი ერი სცხოვრობდა და მრავალი ასი წლის განმავლობაში იდგა მედგრად, რომლის გარშემო ქართველი ერი იყრიდა თავს და ცხოვრებისთვის ჰკრეფდა თავის ენერგიას. ასეთი სულიერი ბურჯი იყო ქრისტიანობა და მისი მორალი, რომელიც 1000 წლობით სწვრთნიდა ქართულ ერის სულს, რომელიც მრავალ საუკუნეში თვით შეიცავდა ძლიერ ეროვნულ მცნებას და თავის დაცვას. აი სულიერი ბურჯი, რომელზედაც აღმოცენებულია ჩვენი კულტურის უშვენიერესი მხარეები. აი ეს სარწმუნოების მორალი რომელსაც მქადაგებელთ აუგეს საქართველოში მშვენიერი ნიმუშები ხელოვნებისა, რომლის მქადაგებელთა დასწერეს დიდებული წიგნები, რომელთა წაკითხვა ადამიანს დღეს აღფრთოვანებს. ესოდენი დამსახურებული, ძვალ-რბილში გამჯდარი ძალა ხელშეუხებელი, ძალა სულიერი, დღეს თქვენ ერთის იერიშით, გსურთ მოსპოთ, წარმოდგენილი კანონპროექტის ძალით უნდა გაანადგუროთ.

მგელაძე ს.-დ. (ადგილიდან): მუზეუმში ავაწყოთ.

სპ. კედია: ნათქვამს გაგება უნდა, აი ჩვენ ვებრძვით ამას. ეს გარემოება რომ ასეთი მნიშვნელოვანი კანონპროექტი ჩვენი საზოგადოებაში, ჩვენი ერის ცხოვრებაში არ იწვევს ერთეულ მღელვარებას და რომ იგი არ გამხდარა ჩვენ საზოგადოებაში შეხლა შემოხლის საგნად, ეს თავის თავად მაჩვენებელია არა იმის რომ ქართველი ერი სარწმუნოების გარეშე დარჩა, და სარწმუნოებას ყურადღებას არ აქცევს? არა, ეს აიხსნება ჩვენი უკულტურობით, იმიტომ რომ ამ გვარ საზოგადოებრივი აუმუშავებლობა ახასიათებს ამ კანონპროექტს, რომელიც ჩვენ მოგვეცა ამ რამდენი ხნის განმავლობაში. და ეს კი, ასეთი ინდეფერენტიზმი, ასეთი უკულტურობა სამწუხაროა, რასაკვირველია, და ჩვენი პარლამენტი ხელს უწყობს რომ აჩქარებული ნაბიჯით წინ მიილტოდეს და მე მგონი რომ ჩვენი მოღვაწეობა ამაში არ უნდა მდგომარეობდეს.

აი ჩვენ ვებრძოდით ამ სულიერ ბურჯს, ჩვენ ვებრძოდით, უფრო საგნობრივ რომ ვილაპარაკოთ, იმ ხალხს რომელშიც ასეთი სულიერი ბურჯი ჩადგმულია და არსებობს. ჩვენ ამ შემთხვევით, ვიმეორებ, არ გვესმის ქართული ხალხის სული; ჩვენ დაშორებული ვართ იმას.

აი აქ ვინც თავმოყრილი არიან ყველა ესენი ბატონები შეჩვეულნი არიან ფორმულებით აზროვნობას, პრინციპით ხელმძღვანელობას; ესენი შეჩვეულნი არიან აბსტრაქტიულ საგნებს, შეთვისებული აქვთ მხოლოდ ზოგადი კანონების მოვლენები.

მხოლოდ თვით სინამდვილე რომელიც არის ჯამი მრავალ ათასი ობიექტიური წვრილმანი სინამდვილისა და განცდისა. აი ასეთი სინამდვილე მთელი თავის სირთულით ჩვენთვის უცნობი არის. და, ვეტყვით, რომ ქართველი ხალხის ქართველი გლეხის სულიერი სინამდვილე მთავარი, მისი არსებითი მხარე სწორედ ამ შემთხვევით უცნობი დარჩა, და ჩვენ ვერ ვხედავთ მათში იმას რაც ძლიერად არის ჩამდგარი მათში, აი ეს სასულიერო სარწმუნოება!

ჩვენ კი, ბატონებო, რაც აქ ვართ იმასაც კი ვერ ვასწრობთ, რომ ერთი მეორის წინააღმდეგ დაწერილი საგაზეთო წვრილები წავიკითხოთ და ერთი მეორეს ანგარიში გაუწიოთ; ჩვენ არ გვაქვს დრო, რომ ჩვენ სულს ერთნაირი სარბიელი მივცეთ და გავაქანოთ ჩვენი გრძნობა-ძიება უფრო ღრმად და უფრო შორს; ჩვენ არ გვაქვს ამის შეძლება მაშინ, როდესაც იმ ქართველ ხალხს, იმ 3 მილიონს, რომელიც გაბნეულია ჩვენ საქართველოს ტერიტორიაზე, სულ სხვანაირად ესმის სინამდვილე; იმის სული ეძიებს სიმშვიდეს.

აი, ბატონებო, მისთვის არის მთელი შენობა რელიგიისა, სარწმუნოებისა, ესეთი დიადი მნიშვნელობისა.

აი, ბატონებო, რაკი არ გვესმის ჩვენ ხალხის რელიგია და სარწმუნოება, ჩვენ იმას ანგარიშს არ უწევთ და რომ ჩვენ ეს ასე გვემართება ეს სჩანს იქიდანაც, რომ მრავალი მშვენიერი ადგილები და დებულებანი, რომელნიც ჩვენს პროგრამებშია შეტანილი, როდესაც სინამდვილეს მიუახლოვდებით დაიმსხვრევიან ხოლმე, და ჩვენ იძულებული ვართ შევაკეთოთ ისინი, ბევრი რამ დაუთმოთ, ანდა სხვანაირად გამოვცეთ, და აი, ბატონებო, აქ იწყება დაშორიშორება ჩვენი გუნების და რეალობისა ხალხის გუნებასთან; და თუ ამ საკითხს მივაქცევთ ყურადღებას საჭირო არის ამას ანგარიში გაუწიოთ. და თუ დავადგეთ ამ გზას, ამ ორ გუნების შერიგებით შევქმნათ უკეთესი მომავალი.

აი, ბატონებო, სწორედ ეს საქმე უნდა მოხდეს ამ საკითხში და იმიტომ მე დღეს ფრიად სამწუხარო მოვლენად ჩავთვლიდი იმას, რომ ეს საკითხი მარტო ხმის უმეტესობით და არა სხვა მოსაზრებათა ხელმძღვანელობით ესე სასწრაფოდ გადაწყდეს.

ამით ხალხს უჩანაგებთ, ხალხში ვანადგურებთ ამ რელიგიურ სამეფოს ამ რელიგიურ არსებას და მის თითქმის ბუნებას.

ჩვენ ვქმნით იმ სიცალიერეს რომლის ამოვსება არ შეგვიძლიან, იმიტომ რომ რელიგიის მაგიერებას ვერ გასწევს ვერც მეცნიერება, ვერც რამე სხვა.

მე მოგახსენებთ რომ, ჩვენ ამ კანონპროექტით სარწმუნოებისაგან ცხოვრებას ვაცილებთ და მის ადგილს კი არაფერს არ ვაძლევთ. ასეთ შინაარსის კანონის მიღება, ეს არის ძალათ ჩანგრევა, არის განადგურება რომელიც შეიძლება სახიფათოთ შექმნას ჩვენი საზოგადო ცხოვრებისათვის.

იმავე დროს ჩვენ უცხადებთ ბრძოლას, პრინციპიალურ ბრძოლას გამწვავებულს და შეურიგებელ კერძო საკუთრებას. მაგრამ შეიძლება სინამდვილე უფრო ძლიერი აღმოჩნდა ვიდრე პრინციპი; ვიდრე ფორმულა!

აი თქვენ საქართველოს სინამდვილეს, ქართულ ხალხს აცლით ორ ძალას, ორ პრინციპს, იგი არის ძალა რელიგიური და საკუთრება, რომელიც ქართული ერის ეკონომიური ძალებით ვითარდება და შენდება. და როდესაც ერთიანათ ამ ორ ძალას ჩაანგრევთ, მე თქვენ გეკითხებით, რაზე უნდა აღმოცენდეს ნამდვილი წყობილება და სახელმწიფო.

ხ. დადიანი (ს. ფ.) (ადგილიდან: (მეოცე საუკუნა არის.)

ს. კედია. არსებულ კანონ-პროექტის შესახებ, ბ-ნებო, მოგახსენებთ, შემდეგს: კანონ-პროექტში აღნიშნულია შემდეგი გარემოება: ყველა ტიპის სკოლებიდან იქნება იგი დაბალი საფეხურისა თუ მაღალის, იქნება იგი კერძო, თუ სახელმწიფოსი, უნდა იქმნეს განდევნილი საღმრთო სჯული.

თქვენ ხალხს არ შეკითხებიხართ, თქვენ არ იცით ხალხის აზრი ამ საგანზე, აიღებს თუ არა იგი ხელს სამღვთო სჯულზე?

თუ არ გაქვთ უფლება, რომ ასეთ განსაკუთრებულ პირობებში შექმნილ კრებულს მიანიჭოთ ერთნაირი უფლება, რომ ხალხის დაუკითხავად ასეთი ძალადობა ჩაიდინოთ და ეს ძლიერება გაანადგუროთ.

მე თქვენ გეკითხებით: აი ამ სკოლებს სხვა და სხვა ტიპისას ქართველი ხალხის ფული ინახავს, ჰო თუ არა?

თუ ჰო, მაშინ მე თქვენ გეკითხებით, გაქვთ თუ არა რამე უფლება, რომ ხალხის დაუკითხავად ამ სკოლებზე იერიში მიიტანოთ და იმას, რაც ათას წლის განმავლობაში ზრდიდა ხალხს და სულიერად ამაღლებდა მას; მე მგონი, არა.

თუ ვინმე ამას გაბედავს, ჩვენ ვეღარ ვივლით ამ ხალხში.

შემდეგ, ბატონებო, ჯერ არ გამოცხადებულა აქტი, საქართველოს საზღვრებში, ეკლესიის სახელმწიფოსაგან განშორებისა.

ხმები მარცხნით: იქნება.

ს. კედია. მართალია მე ამის მომხრე ვარ, მე ამისი არ მეშინიან რადგან ამის მომხრე ვარ, მაგრამ ჯერ ეს აქტი არ გამოცხადებულა და მაშასადამე მთელი ცხოვრება სახელმწიფოსი და საეკლესიოსა ჯერ ერთს სხეულშია მოქცეული, და ეკლესია იკვებება სახელმწიფოს ხაზინიდან და ასეთ დაჩქარებით, ასეთ სიმშავით ამ სკოლიდან განდევნა ამ სამხთო რჯულისა ჩემთვის გაუგებარი რჩება და ეხლა ვიმეორებ, თუ ეს მოხდა ეს იქნება დიდი დანაშაული ხალხის წინაშე.

აქ აღნიშნულია ერთი გარემოება: მართლაც და თუ სკოლებში სამხთო რჯულს ისწავლიან იმ სახით, იმ რიგათ როგორც აქამდის ისწავლებოდა ეს ყოვლად შეუძლებელია. უთუოდ უნდა მოხდეს მისი გადახალისება; უთუოდ საჭიროა რეფორმატიული მოძრაობა.

სასულიერო საქართველოში მე მწამს რო ეს მოხდება და მას გამოუჩნდება თავის მოძღვარიც საქართველოში. მაგრამ თუ ეს უნდა მოხდეს და გვიწერია რომ ხალხი სარწმუნოებას დაჰკაგავს და სხვა გზას აირჩევს ეს უნდა მოხდეს არა ამისთანა ძალდატანებით, ის კი რასაც თქვენ სჩადიხართ დაუკითხავათ ხალხის ამ საკითხის გადაწყვეტა ნამდვილი ძალდატანება არის.

ეს უნდა მოხდეს ევოლუციის გზით თითონ ხალხის შინაგან არსებაში; უნდა გადავიდეთ განცდის გადახრის გზით ერთი საფეხურიდან, მეორე საფეხურზე. მაშინ იქნება ეს კანონი ორგანიული ნაწილი მისი ბუნებისა. თუ თქვენ ასეთი ყაჩაღური წესით მივარდებით და დაუმსხვრევთ და დაუნგრევთ ხალხს სულიერ განვითარებას, გაანადგურებთ არსებულს და იმის ნაცვლად არაფერს არ მისცემთ; ასეთნაირი განადგურება ხალხისა სახელმწიფოს აღმშენებლობისათვის არაფერი მასალაა. ამნაირად ეს გზა სახიფათოა რჯულისა, ჯერ მისი სწავლის ფორმის დაცვა შემდეგ საბოლოოდ მისი განდევნა სკოლიდან თუ უნდა მოხდეს, უნდა მოხდეს ევოლუციის გზით; ეს უნდა მოხდეს ნაწილობით, თვით ხალხის სურვილით, მისი ზრდით მისი შინაგან განცდით და შემდეგ... (**ხმა მარცხნივ**) ეს ხალხის სურვილია.

სპ. კედია: ამ შემთხვევაში თქვენ ერს ნაკლებად წარმოადგენთ.

შემდეგ მეორე კითხვა ჩვენთვის აგრეთვე გაუგებარია. ის სიჩქარე და ის სიმშაგე რომლითაც გინდათ ეს საკითხი გადასწყვიტოთ; ვიმეორებ, ამ საკითხს აქვს უდიდესი მნიშვნელობა, იგი უფრო სათუო საკითხი არის ცხოვრებისთვის და იმიტომ ესეთნაირი სისწრაფე და სიმშაგე, ყოველ შემთხვევაში საშური არ არის.

არის მრავალი სხვადასხვა საკითხები სოციალური ხასიათის პოლიტიკურ ხასიათისა, რომელნიც მოითხოვენ ყველა ელემენტების თანამშრომლობას და თავ მოყრას. ეს დიდი საკითხი გახლავთ და ეს ასეთ დროს თქვენ აქ მოდიხართ სრულიად მოუმზადებელნი საკითხში უისტორიოთ, უტრადიციოთ, ერთბაშად აუქმებთ სალმთო რჯულს ერთი დაკვრით.

იცით თქვენ, რომ ამით შეიძლება გამოიწვიოთ აღშფოთება, უკმაყოფილება, მღელვარება? არის ხალხი მორწმუნე საქართველოში, რომელსაც შეუძლიან გავიდეს და ესე ილაპარაკოს, და ეს ბატონებო, ასეთ ძნელ მომენტში ესეთნაირ მუგუზალს აგდებთ ხალხში, რის გამო ამ ხალხმა, შეიძლება ჩვენ ზურგიც აგვიქციოს და დაბადოს ერთგვარი შინაური უბედურობა.

მე მგონი, რომ ერთნაირი პოლიტიკური ტაქტი, თუ რა არის საშური და რა არა, ამ შემთხვევაში, ჩვენ უნდა გვიკრძალავდეს სწორედ ამ საკითხის გამოყოფას. სწორედ ამ საკითხის გადაჭრა ამ პარლამენტში, რადგან არ შეიძლება, რომ ხალხს არ შევეკითხოთ, როდესაც იგი აქ მოვა.

დამფუძნებელი კრება ამას გაითვალისწინებს და იგი გადასწყვეტს ამ საკითხს.

აკაკი ფალავა (ს.-ფ.)

საკითხი დასმულია ისე, თითქოს ჩვენ სარწმუნოების წინააღმდეგ ვაწარმოებდეთ ბრძოლას, ნამდვილათ კი საკითხი ეხება სამღვთო სჯულის სწავლების გაუქმებას. ქრისტიანულმა მოძღვრებამ საქართველოს ძალიან დიდი საგანძური შესწირა, მაგრამ სამღვთო სჯულში რელიგიის ამ მხარეს კი არა აქვს მიქცეული ყურადღება. თქვენ ამბობთ, რომ სამღვთო სჯულის გაუქმებით ცარიელი ადგილი რჩება, მაგრამ ჩვენ გეკითხებით: განა არ არსებობს უკვე ეს ცარიელი ადგილი?

სამღვთო სჯულის სწავლება რას იძლევა, გარდა გაზეპირებულ ლოცვებისას. ჩვენ უნდა მოვსპოთ ის, რაც დიდი ხანია ზედმეტ ბარგად აზის ბავშვების გონებას და ჩვენი ფრაქცია სავსებით მხარს უჭერს ამ კანონპროექტს.

რ. ივანიცკის ([illegible]) სიტყვა

ბატონებო! ამ საკითხის გამო თუ სიტყვა ავიღე, არა იმიტომ, რომ გადავაჯერო ვინმე თქვენგანი წარმოდგენილ კანონპროექტის ღირსებაში. თქვენი ყურადღება მე მინდა მივაქციო მხოლოდ იმას, თუ რამდენად მიზანშეწონილია და სახელმწიფოს ინტერესებისაგან გამომდინარეობს მასში აღძრული საკითხი.

მომხსენებელმა განაცხადა, რომ თუმცა ეკლესია ჯერ არ ჩამოგვიშორებია სახელმწიფოსაგან, მაგრამ სამღვთო სჯულის სწავლება მაინც უნდა განიდევნოს ყველა ტიპის სასწავლებლიდან და ამიტომ კანონპროექტი მისაღებიაო. მე კი ვიტყოდი, რომ სწორედ იმიტომ, რომ ეკლესია ჯერ ხნობით მაინც სახელმწიფოსაგან განუცალკავებელი ინსტიტუტია, ეს კანონპროექტი უკან წასაღებია, რადგან ის ამბობს მხოლოდ ნაწილს იმისას, რაც უნდა მომავალში ეკლესიის სახელმწიფოსაგან ჩამოშორების კანონპროექტმა დააკანონოს.

მე არ შევჩერდები იმაზე, თუ რამდენად მიუღებელია ეს კანონპროექტი ხალხისათვის: როდესაც აქ ერთმა ორატორმა აღნიშნა, რომ ხალხი კოლექტიური შუამდგომლობით აუწყებს საკათალიკოზო საბჭოს სამღვთო სჯულის სავალდებულო საგნად დატოვების სურვილს, ბ-ნმა ნინიძემ წამოიძახა: ვინ დაუწერათო? ჩვენს მმართველ პარტიას ჰგონია, რომ ხალხის ხმა მხოლოდ მაშინ არის დასაჯერებელი, როდესაც სოციალ-დემოკრატიის სასარგებლოდ არის ამოღებული, და უკეთუ მის წინააღმდეგ წარმოითქმის უსათუოდ ვისმესგან არის ჩაძახილი... ლეჩხუმისა და დუშეთის მაზრის გლეხები მთლად სოც.-დემოკრატიას აძლევდა ხმას და ეს ჩვენი სახელმწიფოს მესვეურებს ხალხის ნამდვილი ზრახვის გამოთქმად მიაჩნიათ, მაგრამ როდესაც იმავე კუთხის გლეხები სოციალისტურ მთავრობის წინააღმდეგ იარაღით ხელში გამოდიან, მაშინ უკვე ეს გლეხები აღარ ვარგანან, მათ ვინმე ამხედრებს, ისინი ვანდეიელებს მოაგონებენ. როგორ ხდება ეს?

ორი მთავარი ფორმალური მოსაზრებით ეს კანონპროექტი მიუღებელია: პირველი ის, რომ ეკლესია დღეს სახელმწიფოში მომქმედი ინსტიტუტია და ჩვენს უზენაეს საკანონმდებლო დაწესებულებას ეს ფაქტი მეტს სიფრთხილეს უნდა ავალებდეს და მეორე, პარლამენტში შემოღებულ ტრადიციით სპეციალური დანიშნულების კანონპროექტები განიხილება ყველა კომისიებში კუთვნილებისამებრ. ამ შემთხვევაში, განათლების კომისიამ უღალატა საერთო წესს და კანონპროექტი პირდაპირ პარლამენტში შემოიტანა სარწმუნოების კომისიის აზრის გაუცნობლად. თუ როგორი წინდაწინვე განზრახული მტრობით უყურებს პარლამენტის უმრავლესობა სარწმუნოებას საზოგადოთ, იქიდამაცა სჩანს, რომ სარწმუნოების კომისია თითქმის ერთხელაც არ შეკრებილა მასალის მიუწვდენლობის გამო და არც პრეზიდიუმი აქცევს ამას ყურადღებას, მიუხედავად რეგლამენტის მე 22 მუხლში გამოთქმულ ნათელი აზრისა.

ჩვენ მაინც ვერ გაგვიგია, რად დასჭირდა საგანათლებო კომისიას ასე სწრაფად გატარება იმ საკითხისა, რომელიც მოითხოვს სერიოზულ მოფიქრებას, ბევრს დროსა და აწონ-დაწონას!? ამის ასახსნელად აქ არაფერი უთქვამთ. სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის წარმომადგენელმა ბ-ნმა დოლიძემ სთქვა, რომ მისი ფრაქცია სიამოვნებით ეგებება კანონპროექტს, ვინაიდგან ამიერიდგან სკოლიდან იდევნება დაწესებულება, რომელიც მუდამ ხალხის წინააღმდეგი იყო და ნამდვილ დემოკრატიის სულის-კვეთებას ებრძვისო. ბ-ნ დოლიძის აზრი მცირეოდენად მისაღები იქნებოდა, თუ საქართველოს ეკლესია წარმოადგენდეს ისეთს ძალას, როგორიც არის კათოლიკების ეკლესია საფრანგეთში კონგრეგაციების სახით, მაგრამ ჩვენი ეკლესიის გაძვალტყავებულ წარმომადგენლებს ვისი დაჩაგვრა შეუძლიანთ?

თქვენ გიყვართ დემოკრატიის სახელით ლაპარაკი, მაგრამ დემოკრატიას ჰკითხავთ, როდესაც ამისთანა კანონპროექტებსა ჰთხზავთ? მოგისმენიათ ხალხის აზრი და გარდაწყვეტილება სარწმუნოებისა და ეკლესიის შესახებ? მე მოგიყვანთ ერთს მაგალითს იმის დასამტკიცებლად, თუ როგორი ილლუზიებით იკვებებით თქვენ! ერთს სოფელს კახეთში, რომელიც უცვლელად პირველ ნომერს აძლევს ხმას, მღვდელი დაეთხოვნა და მღდელმთავრის შეკითხვაზე, ამ მღვდლის წინააღმდეგი აქვთ [illegible] თუ საზოგადოთ მღვდელი არა ჰსურთ, მთელმა სოფელმა ერთხმად მოითხოვა მღვდელი და განაცხადა, რომ „ნაცარტუტას აადენს იმ მთავრობას, ვინც სჯულისა და ეკლესიის წინააღმდეგ მიდისო".

ძნელია ლაპარაკი ისეთს კანონპროექტზე, რომლის ბედი წინდაწინვე გადაწყვეტილია! ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ გაგაფრთხილოთ, რომ ისეთი ნაბიჯი არ გადასდგათ, რაც საბედისწერო იქნება მთელი ჩვენი სახელმწიფოებრიობის შესაძლებლობისათვის.

ისიც არ შეჰშვენის სოციალისტურს მთავრობას, რომ ათასობით გაიღოს ფული სახელმწიფო ხაზინიდან კათოლიკოზის, ან და რომელიმე მიტროპოლიტის დაკრძალვისათვის, ხოლო ცოცხალსა და მომქმედს ეკლესიას აბიაბრუებდეს ასე განუსჯელად და დაუმსახურებლად.

მომხსენებელი სასტიკად მოეპყრო ქრისტიანულ ეკლესიას, ხოლო უფრო ლმობიერად მაჰმადიანობას. როგორც დაინახეთ, კანონპროექტი შარიათის სასწავლად ხაზინიდან კრედიტს იძლევა. მომხსენებელი ორიგინალურად ასაბუთებს ამას: მისი აზრით, პოლიტიკური ვითარება გვავალებს ისე მოვეპყრათ მაჰმადიანობას საზოგადოთ, რომ გავფანტოთ ყოველივე უკმაყოფილება საქართველოს წინააღმდეგ, ხოლო ავიწყდება კი ერთი გარემოება: იგივე მაჰმადიანი არ იფიქრებს შემდეგს?—„რა ნდობისა და დახმარების ღირსია ის მთავრობა, რომელიც ასე უღიერად სდევნის თვისი ხალხის სულიერ მოთხოვნილების ფაქტორს! რა სიკეთეს უნდა ველოდეთ მისგან?". მეორე საბუთი მომხსენებლისა საოცარი იყო: თურმე შარიათი მთელად სარწმუნოება არა ყოფილა და არც ჰგულისხმობს სჯულის შესწავლას? მომხსენებელი რომ ზერელედ მაინც გასცნობოდა მაჰმადიანობას, დაგვეთანხმებოდა, რომ შარიათი არის ცხოვრებისათვის სავალდებულო ნორმები, სავსებით დაფუძნებული მაჰმადიანობის სჯულის წიგნზე—ყორანზე. და თუ შარიათის სწავლების ნებას აძლევთ ვისმე, ისიც უნდა იცოდეთ, რომ ეს არის ნამდვილად მაჰმადიანური სამღვთო სჯულის სწავლების უფლება...

დემოკრატიული დაწესებულება, როგორც არის ჩვენი პარლამენტი, უნდა ცდილობდეს მიიღოს მხოლოდ ხალხის, დემოსისათვის მისაღები კანონები და არა იმნაირი, რაც შესაძლებელია ობიექტიურმა სინამდვილემ უკანვე გადმოგვიყაროს, როგორც უვარგისი, ან ნაკლებად დამაჯერებელი. ქართველი ხალხის მოთხოვნილება უკეთესად რომ გვქონდეს შეთვისებული და არ ვიყვეთ ცალმხრივი დოქტრინიორობით გატაცებულნი, მაშინ დროზე ვიტყოდით უარს იმ კანონპროექტზე, რომელსაც შემდეგში აუნაზღაურებელი ზიანის მიყენება შეუძლიან.

თქვენ რელიგიასა და კულტს სავსებით უარს როდი ჰყოფთ. თქვენი ამხანაგები და ლიდერები ნათლი-მამობაზედაც უარს არ ამბობენ, ხოლო მორცხვად აცხადებენ, რომ დედ-მამას პატივი ვეცითო... ის არა სჯობია, ბატონებო, პატივი სცეთ მთელს ქართველ ხალხს და არ მოახვიოთ მას ძალით ეს ყოვლად უმწეო კანონპროექტი, რომელსაც ჩვენი ხალხი უკანვე გადმოგისვრით, როგორც ზედ-მეტსა და სახელმწიფოსათვის საზარალოს და არა საჭიროს.

კამათი შეწყდა. მუხლობრივი განხილვა შემდეგი სხდომისათვის გადაიდო.

რევოლუცია გერმანიაში

დისციპლინა გერმანულ ჯარში.

გერმანული პრესა, 19 გიორგობისთვე, (გაგრძელება). ბერლინის სამხედრო კომენდანტის მიერ ჯარისკაცებისადმი მიმართულ მოწოდებაში ნათქვამია, რომ უდისციპლინობა და უთანხმოება უდიდესი საფრთხეა ახალგაზრდა რესპუბლიკისათვის, თავისუფლების და წესიერების ინტერესები მოითხოვს რესპუბლიკის გვარდიის შექმნას. გვარდიაში მოხალისეთ ჩასაწერი ფურცლები დარიგებულია ხალხში, მოხალისენი საკმაო ჯილდოს მიიღებენ, მაგრამ უნდა ჩაეწერონ დიდი ხნით. კომენდანტი მოუწოდებს ბერლინის ჯარისკაცებს ყოველგვარი ღონე იხმარონ, რომ დედაქალაქს დარბევა და სამოქალაქო ომის საფრთხე აცილონ.

ჯარი და ბოლშევიზმი

ბერლინის ჯარის სხვადასხვა ნაწილის უნტერ-ოფიცრებმა, ფლოტის და ახალშენთა ჯარის წარმომადგენლებთან ერთად შაბათის სხდომაზე ერთხმად განაცხადეს, რომ ისინი მთავრობის მხარე არიან და მთელ თავის ძალებს მათ განკარგულებაში აძლევენ. უარყოფით ეპყრობიან ბოლშევიზმს და ანარქიას და მოითხოვენ გერმანიის ეროვნულ კრების მოწვევას. უნტერ-ოფიცრებმა თავის უფლებათა დასაცავად ორგანიზაცია მოაწყვეს.

რეინის ოლქის მდგომარეობა.

რეინის გაზეთების გამომცემელთა კავშირმა აუწყა მთელ ქვეყნის გაზეთებს, რეინის ოლქთა გაჭირვებული მდგომარეობა, რომელშიც ის დროებითი ზავის მკაცრმა პირობებმა ჩააყენეს. „რკინის გზის მასალის გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცემა ამ ოლქებს შიმშილს უქადის. ამას გარდა შეუძლებელი ხდება საგარნიზონო ჯარის გამოკვება და ის მცირე სურსათიც, რომელიც რეინის ოლქებშია, ჯარის უკან დახევის დროს სრულიად გამოილევა. მოწოდება ასე თავდება: „ჩვენ ვთხოვთ მთელი ქვეყნის პრესას, აგვაცდინოს საფრთხე, რომელიც რეინის ადგილებს ემუქრება და მოითხოვს, რომ ის ტერიტორია, რომელმაც განიცადა იმის საშინელება, სრულიად არ განადგურდეს. რეინის პროვინციის ლიბერალიზმი ცნობილია მთელი ქვეყნისთვის, დაგვიფარეთ ძალმომრეობისაგან და შეუბრალებლობისაგან“.

მექარხნეთა კავშირის დადგენილება.

მთავრობამ გამოაქვეყნა მექარხნეთა კავშირის და ტრედუნიონისტების შორის დადებული ხელშეკრულება, რორომელიც სხვათა შორის შეიცავს 8 საათის სამუშაო დღეს. ამასთანავე მთავრობა მოითხოვს გერმანიის სამრეწველოების ხელმძღვანელებისგან, რომ ეს დადგენილებანი დაიცვან იმ ოლქებში რომლებიც მოკავშირეთა კონტროლის ქვეშ იმყოფება. ამასვე მოუწოდებენ სამრეწველოების დირექტორებს.

კაუცკი და ნაციონალიზაცია.

ცნობილი სოც.-დემოკრატი კარლოს კაუცკი დამოუკიდებელ სოც.-დემოკ. გაზეთ „თავისუფლება“-ში სახიფათოთ სთვლის ეხლავე ერთბაშად ნაციონალიზაციის მოხდენას, ვიდრე ამის ხელსაყრელი პირობები არ შექმნილა. ეს იმას ემსგავსებოდა, რომ ხარები ურემს უკანიდან მივაბათ, ეს ნიშნავს გარდამავალ სახელმწიფოს შექმნას, რომელშიაც კაპიტალისტურ წარმოების გაგრძელება შემდეგში შეუძლებელია, ხოლო, სოციალისტური კი ჯერ არ არის.

ეროვნულ ყრილობის წინ

კოლონის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, სადაც სოციალ-დემოკრატიულ მთავრობის ფორმალურ განმარტებათ ეთანხმება და მხარს უჭერს. რეზოლიუციაში აღნიშნულია, რომ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს ორგანიზაცია მხოლოდ დროებითია. გერმანიის წესწყობილების საკითხს საბოლოოდ გადასჭრის ეროვნული ყრილობა. დიქტატორობა უარყოფილი იქნება.

გაზეთების ცნობით, დამფუძნებელი კრების მოახლოვებულ არჩევნების გამო, ნაციონალ-ლიბერალებსა და პროგრესისტებს მოლაპარაკება ჰქონდათ შეთანხმებაზე. შეთანხმება ყოველ მხრით მოხდა.

მუშ. და ჯარისკაცთა საბჭოს დადგენილება

მთავარ ბანაკის კასელში გადასვლის გამო, მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ შემდეგი დადგენილება გამოაქვეყნა: მოქალაქენო და ჯარისკაცნო! დღეს ფელდმარშალი ჰინდერბურგი მთავარ ბანაკის აფიცერია და ჯარისკაცთა თანხლებით ჩავა კასელში იმისთვის რომ . . . ჩვენი ჯარის დემობილიზაცია მოახდინოს. ჰინდენბურგი ეკუთვნის გერმანიის ხალხს და გერმანიის ჯარს. მას ყოველთვის გამარჯვებით მიჰყავდა ჯარი და არ გაექცა ხალხს, როცა მას განსაცდელის დრო დაუდგა. ჰინდენბურგი ყოველთვის პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას და ასე არასოდეს დაგვახლოვებია, როგორც ახლა. მას ჩვენ ვფარველობთ. ჩვენ ვიცით, რომ კასელის მოქალაქე ჯარისკაცნი და მცხოვრებნი ენდობიან და პატივს სცემენ მას და რომ ის უზრუნველ ყოფილია შეურაცყოფისაგან. ფელდმარშალი დი მთავარი ბანაკის აფიცრები და ჯარისკაცნი შეიარაღებული იქნებიან.

ჯარისკაცთა საბჭოს კონტროლი.

პრუსიის მთავრობის დეკრეტის გამო, რომლის თანახმად ოლქების და საგრაფოს უფროსნი თავიანთ ადგილზე უნდა დარჩნენ და მოვალეობის ასრულება განაგრონ, მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა, რომ ოლქების და საგრაფოს უფროსნი მხოლოდ იმ შემთხვევაში დარჩებიან თავიანთ ადგილზე, თუ ადგილობრივ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს კონტროლ ქვეშ იქნებიან. საგრაფოს უფროსის კანტორაში საბჭო ნიშნავს დელეგატს, რომელმაც თვალ-ყური უნდა ადევნოს მათ მოქმედებას და თუ საჭირო იქნა, იარაღსაც მიმართოს.

ოკუპაცია

ხმები, ვითომც გერმანიის ჯარის ადმინისტრაციას განზრახული ქონდეს გაიყვანონ ნეიტრალურ ზონიდან და იმ ადგილებიდან, რომელიც შეთანხმების სახელმწიფოებმა უნდა დაიჭირონ, ყველა. ვისაც იარაღის ტარება შეუძლია, სინამდვილეს არ შეეფერება.

უცხოეთი

ჟურნალ-გაზეთებიდან

პოლონეთის კაბინეტი.

სარეგენტო საბჭომ დაამტკიცა მთავრობა შემდეგი შემადგენლობით: სვეჟინსკი—პრემიერი, ელომბინსკი—საგარეო საქ. მინისტრი, ხრჟანოვსკი—შინაგ. საქ. მინისტრი, პილსუდსკი—სამხედრო, პანიკოვსკი—სარწმუნოებისა და განათლებისა, გიგერსბერგი იუსტიციის, ვლადისლავ-გრაბსკი—მიწადმოქმედებისა, ვორებინსკი შრომისა, პაშკოვსკი—გზათა მინისტრი, მინგევიჩი—სურსათისა. ფინანსთა სამინისტროსი და უპორთფელო მინისტრების ადგილები გალიციისა და პოზნანისათვის ჯერ თავისუფალია.

ინდოეთის მოთხოვნილებანი.

ინდოეთის ნაციონალისტების ორგანომ „Pre jndian“-მა ვილსონის პროგრამის მიხედვით შემდეგი მოთხოვნილებანი წამოაყენა: 1) ინგლისმა ინდოეთიდან ყველა თავისი ჯარები სულ უნდა გაიყვანოს, 2) ყველა თანამდებობები, რომელიც აქამდის ინგლისელებს ეჭირათ უნდა გადაეცეს ინდოელებს, 3) იმ ინგლისელებმა, რომელნიც ინდოეთში დარჩებიან, უნდა ფიცი მიიღონ ინდოეთის ერთგულობაზე, 4) ზავის დამყარებამდე მთავრობა არ უნდა გადადგეს. ზავის შემდგომ მოწვეულ უნდა იქნას ეროვნული ყრილობა, რომელიც მმართველობის ფორმებს შეიმუშავებს, 5) ინდოეთს უფლება უნდა მიეცეს თავის წარმომადგენელი გაჰგზავნოს სამშვიდობო კონფერენციაზე და ერთა კავშირში უნდა შევიდეს როგორც ცალკე ერთეული, 6) ფრანგებმა და პორტუგალელებმა უნდა გასწმინდონ ის ოლქები, რომელიც მათ უჭერიათ ინდოეთში, 7) ინდოეთის დამოუკიდებლობა უნდა ყველას მიერ ცნობილ იქმნას.

რუსეთი

დამფუძნებელ კრების მოწვევა.

რადგან უფისკენ მგზავრობა გაძნელებულია, რუსეთის დამფუძნებელი კრების წევრთა ყრილობის ბიურო დაჟინებით მიჰმართავს საბჭოს რუსეთში, უკრაინაში და კავკასიაში მყოფ დამფუძნებელ კრების ყველა წევრებს, როგორც იყოს დაუყოვნებლივ გაემგზავრონ უფაში.

გენერალი ხარვატი.

შორეულ-აღმოსავლეთის მთავრობამ რომელსაც გენ. ხარვატი მეთაურობს, უფის დირექტორია იცნო და თავისი მოქმედება შეაჩერა.

ციმბირის ჯარების ჩამოსვლა.

ციმბირის ყველა ჯარები დირექტორიის განკარგულებაში გადავიდა. ღვინობისთვის პირველ რიცხვებში უფაში მივიდა ციმბირის პირველი კორპუსი.

იაპონიის ჯარი.

ვოლგის მიდამოებისაკენ მიმავალ იაპონიის ჯარების დასახვედრად გაემგზავრნენ დროებითი მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე ლვოვი და დამფუძნებელი კრების წევრნი კოლოსოვი და ლებედევი.

სამშვიდობო კავშირი ჩრდილოეთში.

სკანდინავიის სამ სახელმწიფოს სამშვიდობო კავშირმა გადასწყვიტა, დაარსოს ჩრდილოეთის სამშვიდობო კავშირი სტორტინგის პრეზიდენტის განენის მეთაურობით. გადაწყვეტილია მოწვეულ იქმნას სტოკჰოლმში ჩრდილოეთის სამშვიდობო კონფერენცია.

აჯანყება უკრაინაში.

უკრაინელი მემარცხენე ესერები ავრცელებენ პროკლამაციებს „დადგა დღე საერთო ამბოხებისა. მოემზადენით სასწრაფოდ. მომზადებული რაზმები ელიან ბრძოლას“. კიევში ყოველდღე იმართება თათბირები უკრაინელ ნაციონალისტებისა, მენშევიკებისა ს.-რ.-ებისა და ბუნდოველებისა.

თეთრი ტერორი ფინეთში.

ფინეთში თეთრი ტერორი ძლიერდება. ამის გამო სოც. დ. საოლქო სეიმის სხდომაზე 92 სოც.-დემოკრატებიდან მხოლოდ ერთი იღებდა მონაწილეობას.

ორენბურგის ევაკუაცია

17 გიორგობისთვეს მოხდა ორენბურგის ევაკუაცია, თუმცა თეთრგვარდიელები წინააღმდეგობას განაგრძობდნენ. ორენბურგის ახლოს დამზადებულია თხრილები და მავთულები. ქალაქში კი დიდი ძალაა თავმოყრილი. დიდი ბრძოლის მოლოდინი აქვთ ნოვოსერგიევსკისთან, სადაც მოწინააღმდეგე ძალებს აგროვებს.

სომხის ჯარის შესვლა ადერბეიჯანში

ადერბეიჯანის რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენელმა საქართველოს რესპუბლიკაში სომხეთის რესპუბლიკის საქმეთა რწმუნებულმა შემდეგი ნოტა წარუდგინა: „იმ ცნობების მიხედვით რომელიც ჩემს მთავრობასა აქვს ხელში 2 გიორგობისთვეს სომხის სამხედრო ნაწილებმა გადალახეს ადერბეიჯანის რესპუბლიკის საზღვრები და შეიჭრენ განჯის მაზრის მეცხრე ნაწილის მიდამოებში, რომელიც გოიზის ტბის ჩრდილოეთის მხრივ მდებარეობს. ადგილობრივმა 60 ათას მაჰმადიანთა მცხოვრებლებმა ძალმომრეობა და ცარცვა-გლეჯა განიცადეს ამ ჯარისაგან. გაცნობებთ რა ამას ჩემის მთავრობის მხრივ გიცხადებთ პროტესტს და გთხოვთ უარი არ მოთხროთ და თქვენი მთავრობის გულის ყურამდე მიაწვდინოთ ეს ამბავი, რომ მან მიიღოს სწრაფი ზომები ამ ძალადობის მოსასპობლად. ვანქის მაზრის მაჰმადიანთა მცხოვრებლებზე დ ადერბეიჯანის ტერიტორიის გასაწმენდად სომეხთა ნაწილებისაგან.

ხმა ქართველ სტუდენტისა

დღეს ჩვენი სტუდენტობა სხვა და სხვა პოლკებში იმყოფება. ქალაქის განაპირა ადგილებში არიან გაფანტული ისინი. უნივერსიტეტის საგნებს დაშორებულნი არიან. ამას მიუმატეთ ისიც, რომ ომის გამოცხადების შემდეგ საშუალო სასწავლებელშიაც ვერ სწარმოობდა სწავლა ნორმალურად—ისე რომ ამ სტუდენტობამ—რომელმაც ამ ბოლო ხანებში გაათავა გიმნაზია ვერ ჩაიყარა სწავლა-განათლების მკვიდრი საფუძველი. შემდეგ ჯარისკაცად წაიყვანეს და ყაზარმულ ცხოვრებას ეწევიან და თუ მათ მალე საშუალება არ მიეცათ უნივერსიტეტში სიარულის მეტად გაუჭირდებათ, რომელიმე მეცნიერების დარგის შესწავლა. მართალია, ნება დართულია, შუადღის შემდეგ სიარული უნივერსიტეტებშიო. მაგრამ განა უნივერსიტეტში მარტო სიარული კმარა ქართველ სტუდენტებისათვის დღეს საჭიროა გაორკეცებულ გონების მუშაობა, გულის დადება-მუყაითობა და დრო, რასაც ბევრი ჩვენგანი მოკლებულია. მთავრობის პირდაპირი ვალია ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას ჩვენ გვსურს ჩავებმათ საერთაშორისო მსოფლიო მეცნიერების ფერხულში გვსურს გავამართლოთ კიდა დეც პრო. დოც. ზ. ხარაძის სიტყვა, რომელიც წარმოითქვა ლექციის შესავალში. „ჩვენ-კი არ უნდა ვეცადოთ, რომ მსოფლიო მეცნიერებას „ბუქსირით“ კუდში მოვებათ და მივყვეთ, ჩვენც უნდა შევიტანოთ ჩვენი წილი მეცნიერებაში და ამოუდგეთ როგორც სრულ უფლებრივი ერიო“.

ქ. უნ. სტ. შ. თქთაქიშვილი.

სარწმუნოების მნიშვნელობა

გამოჩენილი ევროპიელების აზრი სარწმუნოების მნიშვნელობისა და სადვთო სჯულის სწავლებაზე

სარწმუნოების დანიშნულებაა აღზარდოს ხალხი სიკეთე-პატიოსნებაში და, ცუდს ყოფა-ქცევას მოარიდოს. სახარებაში მაცხოვარმა კაცობრიობას დაუტევა ღვთაებრივი დარიგებანი ნეტარების ცხივრებისა, რომელნიც აკეთილშობილებენ მასში ბუნებრივ ზნეობის შეხედულებას.

განთქმული ევროპიელი მეცნიერნი, მათ შორის მრავალი ბუნებისმეტყველნიც, პოლიტიკური მოღვაწენი, რომელთაც საფუძვლიანად აქვთ შესწავლული სოციოლოგია, დიდი პატივისცემით უყურებენ „დაბადება“-ს, უწოდებენ მას „წიგნთა-წიგნს“, მეტადრე ამაღლებენ სახარებას, ქრისტიანობრივს სარწმუნოებას, როგორც წყაროს წმინდა ზნეობისას და ბედნიერის ცხოვრებისას.

მათი აზრით სარწმუნოებას ყველანი დიდ მნიშვნელობას უნდა აძლევდნენ ხალხის განათლების საკითხში, სამღვთო სჯული უნდა ისწავლებოდეს სკოლებში ისევე სავალდებულოდ, როგორც სხვა საგნები.

აქ ჩვენ არ შევეხებით აზიის ბრძენთა თქმულებას ამ საგანზე: აზიაზე ჩვენში ფიქრობენ, როგორც ბარბაროსულ ქვეყანაზე და მის მეცნიერთ რეგრესიულ გზაზე მიმავალთ უწოდებენ. ჩვენი და სხვა ქვეყნების ყურადღება მიქცეულია ევროპის კულტურისაკენ, ამისათვის მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ევროპიელ მეცნიერთა შეხედულობას, ისიც არა ძველი რეჟიმის გავლენაში მყოფთ, არამედ თავისუფლების მოყვარე მეცნიერთა აზრებს ამ დიდ საგანზე.

აი რას იტყვიან ევროპიელი მეცნიერნი:

გამოჩენილი ბუნებისმეტყველი და მათემატიკოსი ამპერი შემდეგ რჩევას აძლევს თავის ახალგაზდა მეგობარს, რომელიც ბუნების კვლევას შესდგომოდა: „უფრთხილდი, მარტო დედამიწურ კანონების კვლევას, შეისწავლე დედა-მიწა, მაგრამ ამ ხილულ ქვეყანას უყურე ერთი თვალით, მეორე თვალი არ მოაშორო საუკუნე სინათლეს; ერთის ხელით იკვლიე ბუნება, მეორე მიპყრობილი გქონდეს ღვთის სამოსლისათვის, როგორც უპყრია ხელი ბავშვს მამის კალთაზე.“

შესანიშნავი კრიტიკოსი ადამიანის გონებისა, ფილოსოფოსი—კანტი, რომელმაც დააყენა ფილოსოფია ახალის მიმართულებაზე გერმანიაში და რომლის გავლენის ქვეშ ბევრი სხვა ფილოსოფოსნიც სწერენ, პატივისცემით უყურებდა დაბადებას, აფასებდა მას, განსაკუთრებით სახარების შესახებ სთქვა, რომ იგი არის გამოულეველი

ჩვენი თეატრი*)

დღეს თეატრი კრიზისს განიცდის. სათეატრო ხელოვნება დაეცა. ველარ გვაკმაყოფილებს მისი შემოქმედება. ეს მაშინ, როცა თეატრში მრავალ მიმართულებამ და ტიპმა იჩინა თავი. ევროპაში გაჩნდა: თეატრი—ინდივიდუალური, სიმბოლიზმის და სტილიზაციის, თეატრი—ნატურალისტური, თეატრი—კლასიკური, თეატრი—რეალური; ამასთან ჰლამობენ ანტიურ თეატრის აღდგენასაც და მის აღორძინებას ელიან: ვიაჩესლავ ივანოვი, ანდრეი ბელი, გორდონ კრეგი, მაქს რეინჰარტი და სხვა. გამოდის მთელი რიგი რეჟისორებისა, რომელნიც სხვა და სხვა თეატრალურ დოქტრინებს და პრინციპებს ჰქადაგებენ. ყველა თავის თავს ნოვატორს და გარდამქნელს უწოდებს. წარმოიშვა ზოგადი თეორიები, რომელთაც დღემდის არ ღირსებიათ განხორციელება. თეორია პრაქტიკულ ნიადაგს ვერა პოულობს.

ზოგიერთ რეჟისორმა თეატრი სამ კატეგორიად გაჰყო: თეატრი—სამ კუთხედი; თეატრი—ჰორიზონტალური, თეატრი—სწორი. თეატრი—სამ კუთხედი—ეს ის თეატრია, რომლის წვერზე მოქცეულია რეჟისორი, შემდეგ მარცხნივ კუთხეში დათმობილი აქვს ადგილი ავტორს, სულ ბოლოს მარცხნივ კუთხეში მოთავსებულია მსახიობი. მაყურებელი სჭვრეტს ჯერ რეჟისორის შემოქმედებას, შემდეგ ავტორისას და ბოლოს მსახიობისას. აქ უპირველესი ადგილი უჭირავს რეჟისორს, რომელსაც ავტორი და მსახიობი თავის შემოქმედების იარაღად გადაუქცევია. ეს თეატრი არის—ნატურალისტური თეატრი, სადაც მეფობს მხოლოდ რეჟისორი და სადაც მსახიობის და ავტორის შემოქმედება უკანა პლანზეა გაწეული. ჰორიზონტალურ თეატრში პირველი ადგილი აქვს ავტორს, შემდეგ რეჟისორს და ისევ ბოლოშია მსახიობი. აქ რეჟისორი განმარტავს ავტორის ნაწარმოებს, შემდეგ თავის შემუშავებულ თეზისებს გადასცემს მსახიობს და ეს უკანასკნელი ისე გარდასცემს თავის ხელოვნებას მაყურებელს. ეს თეატრი არის სტილიზაციის თეატრი. არის მესამე ტიპის თეატრი, თეატრი—სწორე, სადაც მსახიობს უპირველესი ადგილი აქვს დათმობილი, მსახიობის შემდეგ დიდ როლს თამაშობს ავტორი, სულ ბოლოს რეჟისორი. ეს თეატრი არის რეალური თეატრი; თეატრი, რომელიც მსახიობის ემოციონალურ ძალაზეა დამყარებული.

გაზეთის ფურცლებზე დაწვრილებით ვერ აღვნიშნავთ მათ მნიშვნელობას და ვერც საკმაოდ დავახასიათებთ, მაგრამ ჩვენი მიზანია სხვა და სხვა თეატრალური მიმართულება გავაცნოთ მკითხველს. მიუხედავად ამისა განვითარებული მაყურებელი ვერ იღებს ესთეტიურ კმაყოფილებას. მიზეზი გახლავთ, დღეს გამეფებული ნატურალისტური თეატრი, თავის შესანიშნავ ტეხნიკური განვითარებით. და სადაც ნატურალისტური თეატრია იქ უპირველესად რეჟისურია და სადაც რეჟისურია მხოლოდ-იქ მსახიობის შემოქმედების ნაცვლად არის მსახიობის ტეხნიკა მარტო. გაბატონებულია რეჟისორთა დოქტრინა და არა მსახიობთა ტემპერამენტი, გრძნობათა განცდა და ემოცია. გარეგნული მონახაზი და არა მსახიობის სულის თრთოლა, მისი ბუნებრივი ვნებათა ღელვა. გერონტი ქიქოძე ერთ-ერთ თავის კრიტიკულ წერილში („კონსტანტინ მენიე“) ამბობს: „ვისაც თანამედროვე ეპოქის ზოგადი ხასიათის გაგება სურს, იმან უწინარეს ყოვლისა ჩვენ ტეხნიკას უნდა მიჰმართოს არა ხელოვნებას. მიტომ რომ ჩვენ საზოგადოებას ნიშანდობლივ დაღს ის პირველი აჩენს და არა უკანასკნელი. დღეს ინჟინერი ბატონობს და არა არტისტი, მანქანა და არა ხელოვანის კვერი ან საკვეთი და სხვათა შორის ამით აიხსნება, რომ ჩვენი ცხოვრების მაჯის ცემა ასე ჩქარია, მისი მიმდინარეობა ასე აღელვებულია. ეს სიჩქარე, ეს აღელვება ეტყობა თანამედროვე ხელოვნებასაც. დღევანდელი მგოსნების თუ მხატვრების მიერ შექმნილი ნაწარმოებიც, უმეტეს ნაწილად, ისევე ულაზათო, ნაჩქარევად შეკოწიწებული და მდარე ხარისხოვანია, როგორც ქარხანაში დამზადებული საქონელი, მას აკლია ის იდუმალი სიდიადე და ის მონუმენტალობა, რომელიც უკვდავ ჰყოფს ეგვიპტიურ სფინქსს, ბერძნულ ქანდაკებას ან გოტიურ ტაძარს“.

ეს მარტივი და მკაფიო დახასიათება ჩვენ აზროვნებას მეტად ენათესავება და ამასთან ერთად გერონტი ქიქოძის სიტყვები დღევანდელ ჩვენ ხანას ძალიან შეეფერება და ნათელჰყოფს კიდეც თანამედროვე საზოგადოების, სულიერ ღირებულებას. თეატრის დაცემაში, დაქვეითებაში, მის რეგრესში, ერთი მთავარი მიზეზთაგანი სწორედ ის არის რომ დღეს „ინჟინერი ბატონობს და არა არტისტი“. და თან კი შეიძლება ხელოვნებაზე ლაპარაკი იქ, სადაც კრუპის ქარხანამ ჩაჰკლა ადამიანის შემოქმედება, ხელოვნება ნაზია ჩვენ კი ბარბაროსულ დროში ვცხოვრობთ.

თეატრიც ვერ გადაურჩა თავის საუკუნეს ზე გავლენას და თანამედროვე ეპოქამ დაასვა თავისი ნიშანი. ტეხნიკაში ჩაკვდა მსახიობის შემოქმედება, ჩანელდა მისი ინდივიდუალობა. მოკვდა სალვინის თეატრი იტალიაში, მუნე-სიულთა საფრანგეთში; კემბელ-გარრიკ-კინის ინგლისში, მოჩალოვ-სჩეპკინი—რუსეთში, ბარნაის გერმანიაში და აღარც მესხიშვილ-აბაშიძეს თეატრი არსებობს—ჩვენში!.. დასრულდა მათი კლასიკური ხელოვნება. ძველი წავიდა. ბუნებრივად ახალს უნდა მოველოდეთ, მაგრამ ახალმა სანუგეშო არაფერი მოგვიტანა. საჭიროა ახალი გზა, გზა ძიებისა, გარდაქმნისა. განათლებულ ქვეყნებში დიდი ხანია ამ ძიების გზას ადგია. ჩვენი ესთეტიური აღორძინება არც ისე ძნელია თუ მუყაით შრომას გავწევთ და ეს აღორძინება, ეს სულიერი ამაღლება უნდა მოხდეს სხვათა შორის თეატრის აღდგენით. შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი დარგი ხელოვნებისა, ადამიანის სულზე ისე ყოველმხრივად არ მოქმედობს, როგორც თეატრი. და ჩვენი ძალა აქეთკენ უნდა მიიმართოს.

18 გიორგობისთვეს გაიხსნა ქართულ დრამატიულ ახალი დასის სეზონი. ამ ექვსი თვის წინად ეს საზოგადოება „ქართული თეატრის აღორძინების“ დევიზით მოგვევლინა. ჩვენ ვიცნობთ ჩვენ თავს და გავაფრთხილეთ. ძველის მოსპობა ერთის დაკვრით და უებად ახალის შექმნა არ არის ადვილი, მერე იმ საშუალებით, რითაც თქვენ დაგვწყეთ თქვენი საქმე. ხელდახელ არაფერი კეთდება, ბუნებრივი ევოლუცია საჭირო, ხანგრძლივი, იდეიური მუშაობა და ჩვენი წინანდელი გულისთქმა აგვიცხადდა.

მოულოდნელად ველოდით ფარდის აწევას. მისი გამარჯვება ჩვენი გამარჯვებაა, მისი მარცხი—ჩვენია. ვუსმენდით პიესას. მაგრამ სულ სხვა რამ ვნახეთ. ეს ჩვენი თეატრი არ არის. ქართული სულის ნასახი არსად ჩანს შიგ. ბრიეს „სარწმუნოება“ სეზონის გახსნისას! უკვე პირველი შეცდომაა. და თუ შესრულების მხრით მარცხი მოუვიდათ—ეს ფრანგული პიესის ბრალია, ვიდრე ახალ მსახიობების. უშნო, ეფექტიურმა პიესამ ოთხი საათის განმავლობაში გაგვტანჯა. საზოგადოება უკმაყოფილო დაიშალა, განსაკუთრებით მეოთხე და მეხუთე მოქმედებამ ბევრი აიძულა თეატრიდან წასულიყო. პიესაში არც ერთი ცოცხალი ტიპი არ არსებობს, არ არის დრამატიული კოლიზია. სცენიდან ისმის მშრალი ნატაციები, დრო მოჭმული ტირადები, და გადაღეჭილი ფილოსოფია, თუ საფრანგეთის თეატრების რეპერტუარში მოხვდა ასეთი პიესა—ეს ადვილი ასახსნელია. საფრანგეთში, ლამაზ პოზების ქვეყანაში, ამგვარ პიესებს დიდი გასავალი აქვს. საფრანგეთის მსახიობის საუცხოვო დეკლამაცია, მშვენიერი პლასტიკა, მკვირცხლი მიხვრა-მოხვრა, ძვირფასი კასტიუმები, სტილისტური დეკორაციები—რა. საკვირველია მსუბუქ გემოვნების ხალხზე შთაბეჭდილება მოახდინოს? ჩვენზე კი ასეთი ნაწარმოები ვერ დასტოვებს შთაბეჭდილებას. ჩვენ გვიტაცებს სამხრეთის ვნებათა-ღელვის სიძლიერე, გულწრფელობა, ტემპერამენტის სიცხოველე, სიდიადე.

ჩვენ, ქართველებს, ფრანგული სკოლა არც გამოგვადგება. საფრანგეთის თეატრებში დღემდის არის დარჩენილი ცრუ კლასიციზმის ნაშთები. ლუდოვიკო მე-14-ის ხანამ დიდი გავლენა დასტოვა. აიღეთ ფრანგული ხელოვნება. ყოველი დარგი თითქმის დამახასიათებელია თავისი გარეგნული სილამაზით და სიმსუბუქით. გამონაკლისს მხოლოდ ოგიუსტ როდენი შეადგენს. მართალია ფრანგებმა ფსევდო-კლასიციზმი კარგა ხანია რაც უარჰყვეს, მაგრამ თანდაყოლილი ბუნებრივი პოზიოროვკა და ყალბი პათოსი მაინც შერჩათ და ამიტომაც არის, რომ საფრანგეთის საუკეთესო მსახიობნი არსად მიუღიათ დიდებით გარდა ამერიკისა, სადაც მხოლოდ აფექტაციით და გარეგანი ბრწყინვალებით იხიბლება საზოგადოება. ეს ხალხი ესთეტიურ საკითხებში ბარბაროსი გამოდგა. ეს ამერიკელებმა დაამტკიცეს მაშინ, როდესაც მათ ელეონორა დუზე ეწვია. მსახიობი-ქალის გულწრფელობა დაუფასებელი დარჩა. ცივად მიიღეს რუსეთის სახელგანთქმული მსახიობი ქალი ვერა კამისარჟევსკაიაც, რომელმაც ძვირფასი კოსტიუმების მაგივრად თავისი ტალანტი გადაუშალა ამერიკელებს.

ჩვენ არც ფრანგების ნათესავები ვართ და არც ამერიკელების. ის, რაც მათ დააინტერესებთ—ჩვენთვის უცხო იქნება. ჩვენ ხალხს ვერ მოატყუებს სარრა ბერნარის ფოკუსები, მიუხედავად იმისა, რომ დიდებულმა სარრამ თავისი ტეხნიკით თვით ბარკს მოატყუა თავისი სიკვდილის მოკატუნებით. საფრანგეთის თეატრი გარეგნულ სილამაზის და სიმშვენიერის თეატრია, ჩვენ ხალხს კი მარტო გარეგნობით ვერ გაიტაცებ თუ შინაგანი ჰარმონიაც არ არსებობს. საფრანგეთის თეატრის პრინციპები ჩვენ თეატრს არ გამოადგება. ბ-ნი გ. ჯაბადარი კი თავისი მოწაფეებით საფრანგეთის თეატრის მიმბაძველობით მოგვევლინა.

საერთოდ წარმოდგენამ რაღაც „უმოძრაობის“ შთაბეჭდილება დასტოვა. თუ თეატრი არ არის დაყრდნობილი ემოციონალურ ძალაზე, ის თეატრი არ არის. ჩვენ გვინდა დინამიურ ძალის თეატრი და არა სტატიური. მხოლოდ მსახიობის შემოქმედება. თანამედროვე თეატრის ნაკლი ისაა, რომ მას აღარ ახასიათებს ელლადის თეატრის განცდა: აკლია ანტიური თეატრის სილამაზე, ტემპერამენტის სიცხარე და ის „იდუმალი სიდიადე“ რომელიც ახასიათებდა საბერძნეთის თეატრებს. დღეს თუ ჩვენ ვუარყოფთ ძველ სკოლას, უნდა სამაგიერო მივცეთ საზოგადოებას. რაც ჩვენ ვნახეთ ქართ. დრ. საზ. პირველ წარმოდგენაზე—ეს უკვე ნანახი გვაქვს.

ვისაც ახსოვს ვლ. მესხიშვილის (პეტრონიუსი) და ა. კარგარეთელის ევნიკა („ვიდრე ხვალ უფალო“ში) და მთელი პიესის ანსამბლიც, დამეთანხმება, რომ მას ესთეტიური სატკბოება განუცდია. ასეთივე მაგალითები მომხდარა ზოგიერთ პიესების დადგმისას, როცა ჩვენი მსახიობნი თამაშობდნენ. თუ გინდ „ღალატი“ აიღეთ, „მედეა“ ნ. ჩხეიძის მონაწილეობით და სხვა.

იყო დრო, როცა ქართული თეატრი გაიფურჩქნა. ეს დრო იყო მესხიშვილის, აბაშიძის, კ. ყიფიანის და სხვათა დრო. ამათ ღირსეული მოწაფეებიც გამოიყვანეს. დღეს ახალ ძალებს ველით. თუ თეატრში მისი ქურუმნი ღირსეულნი არ არიან ის წინ ვერ წავა. მარტო მსახიობნიც არა კმარა. როგორც მსახიობთა პერსონალი, აგრეთვე რეპერტუარის სიმდიდრეც საჭიროა, რომ შეიქმნას ის, რაც წმინდა ხელოვნებისთვის აუცილებელი. ურეპერტუარო თეატრი მკვდარია ისევე, როგორც თეატრი უმსახიობოდ. მსახიობობა, შესაფერი რეპერტუარი და სასცენო ხელოვნების შესწავლა—შექმნის ნამდვილ თეატრს. ჩვენმა თეატრმა უნდა გვერდი აუქციოს ცრუ სათეატრო დოქტრინებს და რეალურ გზა მოსძებნოს.

გ. ბარრიკა.

---

*) ამ საკითხში ადგილს ვუთმობთ სხვა და სხვა მიმართულების წარმომადგენლებს.

რედაქცია.

წყარო ყოველი ჭეშმარიტებისა, რასაც ვერსად ვერ მიაგნებთ, გინდ ჭკუამ მთელი თვისი ასპარეზი იკვლიოს."

აი პასკალის სიტყვები ქრისტიანობაზე: „ყოველი ჩვენი კეთილ მოქმედება და ნეტარება ქრისტეს სწავლაშია, თუ იგი არ იქნებოდა, ხალხი გაირყვნებოდა, ერთმანერთს დასჭამდა და ქვეყანა ჯოჯოხეთად გარდიქცეოდა."

ინგლისელი ბუნებისმეტყველი და მათემათიკოს-ასტრონომი ნიუტონი, რომელმაც ბუნებაში მიმზიდველობით ძალა აღმოაჩინა, და რომელიც გერმანელ ფილოსოფოს ბუნებისმეტყველთან ლეიბნიცთან ერთგვარად სჯეროდა, რომ მსოფლიო იმყოფება ღვთის განგების ქვეშ, იმ ზომად მორწმუნე იყო, რომ ღვთის სახელის ხსენებაში საუბრისას ფეხზე დგებოდა და ქუდს მოიხდიდა.

ფილოსოფოსი და სოციოლოგი ჟან-ჟაკ რუსსო სწერს: „ვინც სარწმუნოებას არაფრად აგდებს, იგი ხალხის ზნეობითს აღზრდას წინააღმდეგობას უწევს. ეს კეთილდღეობას-კი, არა ჰნიშნავს, არამედ რეგრესს.

შკოლა არა მარტო გონებას უნდა უხსნიდეს, არამედ ხასიათსაც აკეთილშობილებდეს. უმეტესად სამრევლონი, ზოგადი განათლების. შკოლები უნდა უნერგავდნენ ხალხს ქრისტიანობრივ—ზნეობრივ მიმართულებას.

ცოდნის შეძენის გარდა მათ უნდა სთესონ ყრმათა გულში თესლი საღრმთო სჯულისა. როგორც მშობლები, დედ-მამა, ხელსუწყობენ შინაურს აღრზდას, ისე სახელმწიფო და ეკკლესია შეერთებულის ძალით უნდა დაეხმარონ სახალხო განათლების საქმეს."

საფრანგეთის პოეტი ვიქტორ ჰიუგო თავის სადეპუტატო სიტყვაში სოციალიზმის რადიკალიზმის გამო იტყვის: „მე უნდა დავიცვა რელიგია ყველაზე უწმინდესი, რაც-კი ეკუთვნის ადამიანს."

მთელი საფრანგეთი, შეწუხებული ერთს დროს ზნეობის დაცემით, მიჰმართავდა სარწმუნოებას რის გამოც ჟიულ სიმონი, სამეცნიერო აკადემიის წევრი პარიზში, არჩეული ეროვნულის კრების მუდმივ წევრად და სახალხო განათლების მინისტრად, აცხადებს: „არ არი ზნეობა, რომელსაც ნამდვილი ძალა ჰქონდეს გარდა იმზნეობისა, რომელსაც სწამს ღმერთი, რომლის საფუძველშიც სიყვარულია ღვთისა ასეთია ქრისტიანობრივი მორალი, მორალი ცივილიზაციისა.

ანთროპოლოგი ვაიცი ამბობს: „ყოველი გონიერი კაცი, რა მიმართულებისაც გინდა იყოს, ვერ უარს ჰყოფს, რომ საშინელი გახშირება ახალგაზრდა დამნაშავეთა რიცხვისა მოსდევს უსარწმუნოებო აღზრდას თვინიერ საღრმთო სჯულის სწავლებისა. ახალგაზრდობას აითმევენ რელიგიურ იდეალებს, ამასთან ეკარგებათ პატრიოტიზმიც, რომ ბოროტება არ მოელო დიდ ზომამდე, ეს აიხსნება გავლენით არსებულის სასულიერო მიმართულების შკოლების ხალხში".

გერმანეთის მინისტრი კულტისა შტუდტი პრუსიის დეპუტატთა პალატაში ამბობს: „სახელმწიფოებრივი სკოლა, განცალკევებული ეკლესიის კავშირისაგან, იქნებოდა ეროვნულ უბედურებად. ქრისტიანეთათვის ეს მეტ სიტყვას არ წარმოადგენს. თუ ეკლესია საჭიროა, ყველაზე საჭიროა ბავშვებისათვისაც, თუ ჭეშმარიტებაა ის აზრი, რომ ეკლესია წარმოადგენს ღვთის დაწესებულებას, როგორც ამას თვითონ ჰმოწმობს, მაშინ საჭიროა იგი ყველა ზნეობრივის მიზნით დაწესებულს ინსტიტუტთათვის, როგორც საჭიროა ჰაერი ადამიანის სხეულის ცხოვრებისათვის. თუ სახელმწიფოს ჰსურს იქონიოს სკოლები ეკლესიის გავლენით, მაშინ იგი თავის თავზე აიღებს გადამეტებულ სიმძიმეს, რომლის აწევაც არ შეუძლიან, სახელმწიფოს შეუძლია ბევრი უშველოს სკოლას, მაგრამ არ შეუძლია მისი დედ-მამის მაგიერობის გაწევა. ვინც ასე არა ჰფიქრობს, იგი ჩავარდნილია ცრუმორწმუნებაში".

ინგლისელი რომანისტი ვალტერ-სკოტი თავის „მემუარებში" სწერს: „უნდა დაისაჯნენ ის მშობლები, რომელნიც გზავნიან თავის შვილებს იმ სკოლებში, რომლების კარებებზე აწერია: „აქ საღმრთო სჯულს არ ასწავლიან".

გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე გლადსტონი ინგლისის პარლამენტში ეუბნება დეპუტატებს და მოქალაქეთ: „სარწმუნოების სწავლებას დიდი მნიშვნელობა აქვს, იგი უნდა ისწავლებოდეს ბავშვობის ხანიდან და მოქალაქენიც ამ საგანს უნდა აფასებდნენ. ვინც ორმოს უთხრის ამ საფუძველს, იგი, როგორც წესიერების დამრღვევი და საზოგადოების მტერი, სიკვდილით უნდა დაისაჯოს".

ყოფილი ინგლისის მინისტრი-პრეზიდენტი სალისბერი აცხადებს: „კმარა ბოლოს მაინც გაჩუმდნენ თეორიები ფაქტების წინაშე. სწავლა და განათლება უსარწმუნოებოდ არ შეიძლება. მას შემდეგ რაც მოუფიქრებლად გამოცხადდა—სკოლებში სარწმუნოებაზე არ უნდა იყოს საუბარიო, მასწავლებლები ასწავლიან რაღაც უდაბნოში, ბავშვებს არა აქვთ წარმოდგენა ღმერთზე, სიმართლეზე და უსამართლოებაზე. ამგვარ სკოლებით წარმოდგებიან ველური ზნე-ჩვეულებანი, ველური ერი".

ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტმა ვაშინგტონმა, როდესაც იგი მოქალაქეთ ეთხოვებოდა, სხვათა შორის წარმოსთქვა: „თუ ხალხს სჯული არა აქვს, მისი მოვლა და წესიერებაში დაყენება მხოლოდ ზარბაზნებით შეიძლებაო".

ევროპიელნი, მეცნიერნი და თვით ხალხიც, დემოკრატიაც, დიდ მნიშვნელობას აძლევენ სარწმუნოებით განათლებას. შემცდარია ის, ვინც მარტო რუსეთის ხალხს აწერს სარწმუნოების სიყვარულს და რუსეთში მხოლოდ ჰგონია აშენებული მრავალი საყდრები, ვიდრე სხვაგან. ლონდონში, ინგლისის სატახტო ქალაქში, მაგალითად, 1913 წელს იყო 1500 ტაძარი, როგორც გადმოგვცემს ხსენებულ წელში რუსული გაზეთი „დენ". ინგლისის პარლამენტში სხდომა იხსნება ხოლმე ლოცვით, კვირაობით ნახევარი დრო მიტინგებისა ეხება სარწმუნოებრივ კითხვებს, შაბათობით პრესსა, მიუხედავად მიმართულებისა, ჰბეჭდავს, რომელ საყდარში რა ღვთისმსახურება შესრულდება, რომელ საათში და რომელი გამოჩენილი მქადაგებელი რა საგანზე წარმოსთქვამს სიტყვას. სკოლებში საღმრთო სჯულის სწავლებას საპატიო ადგილი უჭირავს. ინგლისელები ქრისტიანულ კულტურის დამტკიცებას სცდილობენ არა მარტო თავის ქვეყანაში, არამედ სხვა ადგილებშიც. ამ მიზნით მათ ლონდონში დაარსეს მსოფლიო „დაბადების" საზოგადოება, რომელსაც დაარსებული აქვს სხვა და სხვა ქვეყნებში დეპოები (ქ. თბილისშიც), რითაც იაფად ავრცელებენ ახალის აღთქმის და, დაბადების წიგნებს ყველასთვის სამშობლო ენაზე. ბოლო დროს დაბეჭდეს საღმრთო წიგნები 365 დიალექტზე და მილიონობით ეგზემპლიარები გაავრცელეს.

ჩვენს განახლებულს და თავისუფალს საქართველოშიაც ჯეროვანის ყურადღებით უნდა ვეპყრობოდეთ ქრისტიანობის ინტერესების დაცვას. მაგრამ ამის მაგივრად რა გვესმის? გაზეთებიდან ვიგებთ, რომ საღმრთო სჯული სკოლებში აღარ უნდა ისწავლებოდესო, მღვდლები, საყდრები, სჯულის მასწავლებლები, ვისაც უნდა იმათ შეინახონო და სხვა ამგვარი სარწმუნოების მნიშვნელობის დამცირება. ამგვარ გზას რომ დავადგეთ, სარგებლობას კი არა, უზნეობისა და ბოროტების გავრცელებას შევუწყობთ ხელს. „თეორიებმა ადგილი უნდა დაუთმონ ფაქტებს", სთქვა ინგლისელმა სალისბერმა.

ნუ თუ დამტკიცება უნდა იმ ფაქტს, რომ ქრისტიანობის მადლობით ქართველი ერი კულტურულს ნაციებში ირიცხება? ნუ თუ არ უნდა გვახსოვდეს, თუ რა პირობებში ვცხოვრობდით კავკასიაში, რამდენი ეროვნება გვარტყია გარშემო? როგორ ყურადღებით ეპყრობიან იგინი თავიანთ სარწმუნოების ინტერესებს; თუმცა დოგმატებიც თავიანთი სჯულისა არ მოსწონდეთ, მაინც ნაციის ინტერესისათვის, ერის გაერთიანების დასაცველად, იგინი სარწმუნოებას, თავის ხალხისას, არ არყევენ.

სახარების სწავლა, ქრისტიანული მორალი, ხელს უწყობს ხალხის განათლებას, წინ-მსვლელობას, ხალხის საკეთილდღეო რეფორმებს, ძმობას, მოქალაქობრივს ცხოვრებაში თანასწორობას, მდიდართაგან ღარიბთა დახმარების საკითხში და სხვა. ამისთვის ურწმუნოდ წოდებულნი, მკვლევარნი ხალხის ცხოვრებისა, სოციალიზმის და ანარქიზმის ზოგიერთი მიმდევარნიც, მაგალითად ლევ ტოლსტოი, ყველა სარწმუნოებათა შორის ქრისტიანობას მაღლა აყენებდა. რაღა იქნება უფრო ხელის-შეწყობა ერთა წინმსვლელობისა, პროგრესისა, რომლის განვითარების გზას კარი გაუღო ქრისტემ ზეცამდის თვისი სწავლით: „იყვენით თქვენ სრულ, ვითარცა მამა თქვენი ზეცათა სრულ არს", (სახარ. მათ. V, 48).

დეკანოზი **ტარასი ივანიცკი.**

ქიმიურ სახელთწოდებაზე

(პასუხი ბ. მიხ. შალამბერიძეს).
(დასასრული. იხ. „საქართ." № 223)

IV

ჩემ სახელთწოდების დედა-აზრისამებრ, ეს ახალი გერმანული წყობაც ჩვენი ენის ხასიათის მიხედვით გადმოვიღე, თუმცა სამი ხმოვანი ასო ჩემ დაბოლოვებაშიაც დატოვებულია ჩემი სახელების საერთაშორისო სიმბოლიურ ენასთან დასაახლოვებლად.

„ატ-იდ"-ის წყობის გარდა ლათინურ-ფრანგულ წყობის დაგვარად შემოკლებული რუსული წყობაც გადმოვიღე, რადგანაც სიტყვა „მჟავეს" მოკლებული ეს სახელთწოდებაც მარჯვე სახმარი და მტკიცეა. ზოგ შემთხვევაში ერთი ფორმა არის გამოსადეგი, ზოგში კი—მეორე.

აი ეს სახელები:

ქლორის ნატრი—ნატრ-ქლორადი (გნებავთ, ქლორად-ნატრი).

ქლოროვანი ნატრი—ნატრ-ქლორნადი.

ქლორნივი ნატრი—ნატრქლორიადი.

ქლორობრივი ნატრი—ნატრ ქლო-(რო)ბრიადი.

ქლორა ნატრი ნატრ ქლორილო.

ქლორა ნატრის, როგორც ქლორა ჰანგის ქლორნატრად შემოკლება შეიძლება. ეს ქლორნატრია, ეს ნატრი ქლორა არის.

ესე იგი ორივე „ატის" მაგიერ (პერქლორატი და ქლორატი) ადი და ნადი, ორ „იტის" მაგიერ (ქლორიტი და ჰიპოქლორიტი)—იადი და ბრიადი, „იდის" მაგიერ ილო. „ა"ც და „ი"ც „გერმანული" არის დატოვებული ლათინურ სწორედ წინააღმდეგ „ი" და „ა"-სგან გამოსარჩევად (იქ ხომ ქლორატს ქლორიკუმი ჰქვია, ქლორიდს კი ქლორატუმი)—გერმანულ წყობის ნაკლი—„იტ"ის და „იდის" ნამეტანი მზგავსება—აშორებულია: იადი და ილო ყოველ ყურისთვის ადვილი გასარჩევია.

ეს უკანასკნელი ფორმა სადა მარილების ზოგად სახელებისთვის არის გამოსადეგი. მეტალლის აღნიშვნით დასახელებულ ცალ-ცალკე მარილებს კი ქლორა ნატრის ფორმა უფრო უხდება, მაგალითად: ეს ბრომვერცხლი არის, ეს თუთია გოგირდა ყოფილა. მესამე ანალიტიურ ჯგუფის ქლორილოები, მოტუტო ასოეულთა გორდილოები და სხვ. გოგირდის სახელი აქაც უნდა შემოკლდეს.

ამ წყობით აღარ დაგვჭირდება ბავშვებისთვის ახსნა: „ძმარმჟავე ტყვიას" ტყვიის შაქარა რატომ ჰქვია, ან „გოგირდმჟავე მაგნიუმს" მწარე მარილს რატომ უძახიანო. ტყვიძმარადს და მაგნიგოგირდადს ნება აქვთ რაც უნდათ იმ გემოსი იყვნენ.

ამავე წყობით და ამდენადვე ადვილად გამოისახება ყოველი ჰანგი ან ძირე მარილი; მაგრამ ამ უკანასკნელის სახელთწოდებას განძრახვით არ შევეხები იმის წყლიან და უწყლო ფორმაზედ ლაპარაკი და მათ სახელების ახსნა შორს გაგვიტაცებს.

ჰანგ-მარილს კი „ბიკარბონატის" ანალოგიით, მაგრამ ორფა ჰანგების სრულ მარილებისაგან გამოსარჩევათ, ორ-ნახშირად ან ორ-გოგირდადის მაგიერ ჰანგ-გოგირდადი ან ჰანგ-ნახშირადი დავარქვით. ევროპაში ნატრის ორ-გოგირდადი ჰანგ-მარილია (თქვენი „მჟავე გოგირდა-მჟავე ნატრი"),—ნატრის ორქრომადი-კი სრული ორფა ანჰიდრიდიანი მარილია (თქვენი „ორქრომმჟავა ნატრი"). ჰანგ და სრულ მარილს ერთნაირი სახელი აქვს. ჩემი წყობით-კი ამ ორგვარ მარილის არევა შეუძლებელია.

გერმანულ „ფერო-ფერრი"-ს წყობაც შესწორებულათ და გაქართულებულათ გადმოვიღე. ერთი ასოს შეცვლით მეტალლის ბმეობის ხარისხის გარჩევა მაშინ არის კარგი, როცა ეს ასო ხელოვნებრივად არ არის ამორჩეული. გერმანული „ო" და „ი"კი სწორედ ასეთია. ყველას ეშლება და ავიწყდება, რომელია უმაღლესი „ო" თუ „ი", მით უფრო, რომ „ატ-იტის" წყობაში „ი" უდაბლესია, აქ-კი—უმაღლესი. ეს ნაკლი ჩემ ჟანგეულების და ჰანგების დასახელების სრულ ანალოგიით შევასწორე. უმაღლეს ბმეობიან მეტალლის სახელს შეუცვლელად ვტოვებ (რკინა, კალა, ტყვია, სპილენძი, ქვაშავა), უდაბლესის სახელს-კი ან თავში „მო"-ს, ან ბოლოში „ივ"-ს ვუმატებ (რკინივ ან მორკინა, ქვივშავა) როგორც ჟანგეულების და ჟანგა-ჰანგების დასახელებაში: ჟანგი ჟანგივი ან მოჟანგი; ქლორის და ქლორნივი ჰანგი. ხან „მო" არის უფრო გამოსადეგი, ხან „ივ", აქ ალარაფერია დასავიწყი ან ერთმანეთში ასარევი. რკინა გოგირდადი, რკინივ გოგირდადი, რკინა გოგირდიადი და რკინივ გოგირდიადი — მოკლე და მტკიცე სახელები გამოდის. კალა ქლორილო („ოთხქლორიანი") და კალივ ქლორილო („ორ ქლორიანი" კალა).

თქვენ ჩვეულებრივი სახელი მოჟანგო მეტალისთვის ამოგირჩევიათ, ჟანგისათვის-კი შეუცვლელად გადმოღებული გერმანული „ი". რკინა-რკინი, ფერრო-ფერრი. ჩემის აზრით ნორმალური სახელი ჟანგ მეტალლს უფრო შეფერის, მინამ მოჟანგს. გერმანული სახელები ხომ ორივე არაჩვეულებრივია, რკინას ეიზენ და ფერრუმი ჰქვია. ამას გარდა შეცდომად მიმაჩნია ევროპის ენებიდან რამე სუფიქსების ან დაბოლოვების შეუცვლელად ჩვენს ენაში გადმოტანა. თქვენ ბრძანებთ: რადგანაც „ჩვეულებრივ (უმაღლეს ჟანგა) სიმჟავეთა მარილებს ევროპაში სულფატები ჰქვია, მე მათ ჰანგებს „ა"—ჰანგები დავარქვიო. გოგირდა, ქლორა, რადგანაც გერმანიაში ჟანგრკინას ფერრი ჰქვია, ჩვენ მას „რკინი დავარქვათო (და აქვე იძულებული ხართ სპილენძისთვის ეს წესი უკუღმა შეაბრუნოთ. სპილენძ-სპილენძი (ჟანგი) ევროპამ აზრები და ცოდნა გვაძლიოს, ენა კი ჩვენი ბევრად უკეთესია, ოღონდ მის განკერძოვებული ხასიათი არ უნდა დავივიწყოთ, მასში წყობების გადმონერგვის დროს.

შერთული მარილ-ჰანგის სახელები ყველაზედ უფრო ცხადად სახავენ ჩემ დასახელების სიმოკლეს და სიმტკიცეს, სხვა წყობებთან შედარებით. ეს მეტადრე ჰანგების გამოსახვაში სჩანს.

ყვითელ და წითელ მარილის ჰანგები—თქვენი „რკინი" და „რკინა-ციან-წყალბად-მჟავა", გერმანული „ფერრი" და „ფერროციანვასსერშტოფზეურე" და რუსული „ჟელეზო" და „ჟელეზისტო სინეროდისტო ვოდოროდისტაია კისლოტა"—ჩემს ენაზედ იქნებიან: რკინა-ციანგი და რკინივციანგი.

ამ ორ ჰანგის ჟანგ და მოჟანგო რკინასთან კომბინაციის ოთხივე მარილს, რომელთ შორის ბერლინის ლაჟვარდიც არის, ყველა ენებზედ (ახალ გერმანულის გარდა) განთქმულად გძელი და რთული სახელები ჰქვია. ამ შეკუმშულ წერილში იმათ არ ჩამოვთვლი. ყოველი ქიმიკოსი მათ უჩემოთაც კარგათ იცნობს.

თქვენი წყობთ ბერლინის ლაჟვარდის სახელი გამოისახება ორნაირათ. ან თქვენი „ქლორ-ნატრის" მაგალითით, ან თქვენი „ქლორწყალბად-მჟავა ნატრის" წახედვით; პირველ შემთხვევაში გამოვა „რკინაციან რკინი", მეორეში-კი „რკინაციან წყალბად მჟავა რკინი". რამდენად უკეთესია პირველი!

ჩემი წყობით სწორეთ თქვენ პირველ სახელივით, ან ახალ გერმანულივით მოკლე და მარჯვე დასახელება სდგება, მაგრამ ჩემის აზრით ჩემი სახელები უფრო ბუნებრივი, ე. იგი არა ხელოვნებითი და ამიტომ თავის თავად დასამახსოვრებელია და გასაგებია.

აი ეს ოთხი კომბინაცია:

რკინივ რკინაციანადი, რკინივ მორკინციანადი, რკინა რკინაციანადი და რკინა მორკინციანადი (ბერლინის ლაჟვარდი).

ქემია იმდენად მტკიცე და წყობრივი მეცნიერებაა, რომ რაგინდ სახელწოდება იყოს მისთვის ამორჩეული, ყოველ მის ოთხმოც ასოეულის ყველა ნაერთებს ადვილად და მექანიურად დაერქმევა ერთ ასოეულის ნაერთებისთვის შედგენილი სახელი. ამორჩეულ წყობის დამფასებელი ესკი არ არის; სახელთწოდების ღირსეულებას სახელების სიმოკლე, მოხდენილობა და სიმტკიცე სახავს. ჩვენთვის საჭიროა იმდენად სადა და თან მკაცრად მეცნიერული და კოხტა სახელთწოდება, რომ ის ფორმულებს უკან არ რჩებოდეს თავის სიანკარით და სიცხადით.

ყოველ წყობის ვარგისობა იმითი უნდა გაიზომოს და აიწყოს, თუ რამდენად უახლოვდება მისი სახელთწოდება ყველა ამ პირობებს.

ასეთი წყობა ჯერ საძებნია, ვგონებ ჯერ შორს არის. სასურველია, რომ ყველამ, ვისაც ეს საქმე აწუხებს, მონაწილეობა მიიღოს ტექნიკურ საზოგადოების სატერმინო კომისიის მაცადინეობაში. თითოეული კერძო მეძიებელის წყობები იქ უნდა გაისინჯოს, გაირჩეს და შემუშავდეს.

ამხანაგურ კამათის და ცხარე საერთო შრომის ალში უნდა დაიბადოს ნამდვილი ჩვენი ქიმიური სახელთწოდება.

რუსუდან ნიკოლაძე—
პოლიტეკნიკოსი.

თეატრი და მუსიკა

ქართული კლუბი (საზამთრო თეატრი). შაბათს, 23 გიორგობისთვეს, იმართება სამხატვრო მინიატიურის საღამო. დადგმული იქმნება სპარსული ზღაპარი, ერთ მოქმედებიანი სცენა „ექვსნი ლამაზნი" სიმღერით და ცეკვით. აღნიშნულ ზღაპარში ჩამატებულია პროზოროვსკის საუცხოო რომანი „მინდოდა ვყოფილიყავ სპარსული ქსოვილი". პროზოროვსკივე შეასრულებს საღამოს მუსიკას.

რედაქტორი **გერონტი ქიქოძე.**

კერძო სამკურნალო

ექ. ა. დ. ალექსიძის

მომსვლელ ავადმყოფთათვის ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები:

გ. მ. რეკვავა—შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11 ს.

მ. მ. ტყემალაძე—კანის და ვენერიულ . სიფილისს. 606—914 [illegible] ლით) 11—12 ს.

ი. ა. ლაზარევი—საბებიო საშვილოსნო ავადმყოფობანი 12—1 ს.

ნ. თ. ანდრონიკაშვილი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.

ა. დ. ალექსიძე—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.

მ. ნ. იზნელი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 4—6 ს.

ს. გ. ჯაფარიძე—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს.

ი. ა. ხათრიძე—ბაქტერიოლოგი სამკურნალოს ლაბორატორიისა, სადაც შეიძლება ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვ.), ელექტრიზაცია, მასსაჟი, აცრა და ნემსების გაკეთება.

სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგი ექიმი.

მისამართი: ირაკლის ქუჩა, № 6, ეგზარხოსის მოედანთან, ტელეფონი № 9—83.

სამკურნალოს დირექტორი ექიმი
ა. დ. ალექსიძე.

ქალ. ქუთაისში

მიხეილის ქუჩ. წითელ ხიდთან გაიხსნა

ქირ. და ქალთა სნეულების

საავადმყოფო

სამშობიარო განყოფილებ.

მწოლარე ავადმყოფებს იღებენ ყოველ დროს. 15—1739—11

სამკურნალო კაბინეთი ექიმის

ალექსანდრე დავითის ძის

კეკელიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათ. და საღამოს 5 საათ. 7 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

მარტის 20 გაიხსნა ახალი

სამკურნალო

ყოველგვარ ავადმყოფთათვის
ექიმ ბ. მ. მძინარიშვილის და დ. მ. ნაზარბეგიანის

საავადმყოფოში იარსებებს **კბილის საექიმო კაბინეთი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.**

მიხეილის პროსპექტის („კიროჩკინი" ქუჩ. კუთხე № 22, შესავალი კიროჩკინი ქუჩიდან). ტელეფონი 10—37.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.

ვენერიულ ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

ღარიბები მიიღებიან კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

ეროვნული

განცხადება

საქართველოს რკინის გზის სამმართველო ამით აცხადებს მგზავრთა საყურადღებოთ, რომ სათბობი მასალისაგან გამოწვეულ პირობის გამო 10 აგვისტოდან მატარებლების მიმოსვლა იცვლება შემდეგ ნაირათ:

თბილისიდან გადის

			საათი	წ.
ფოთისკენ	№ 23		7	50
„	№ 3	ღამის	10	30
ქუთაისისკენ	№ 9/10	საღამ.	7	17
განჯისკენ	№ 4	ღამის	11	10
„	№ 8	დღის	3	35
სანაინისკენ	№ 4/30	დღის	1	—
თბილისში მოვა				
ფოთიდან	№ 24	შუად.	12	47
„	№ 4	საღამ.	6	54
ქუთაისიდან	№ 11/12	დილის	6	53
განჯიდან	№ 3	საღამ.	4	30
„	№ 7	დღის	8	30
სანაინიდან	№ 40/3	დილის	11	—

თბილისის დროით.

ექიმი

ნიკ ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე.

ელექტრო-ტერაპია

მისამართი: მოსკოვის ქ. № 11. ზემელის აფთიაქის მახლობლად.
თ.—1536—50

ექიმი

ნ. ი. დემეტრაძე

იღებს შინაგან და სადოსტაქრო ავადმყოფებს ყოველ დღე 3—6 ს. წყნეთის ქუჩა № 25. (14—1867—5)

მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა

გ. გ. მეგრაბიანცი

ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

გაიხსნა

თვალის საავადმყოფო

(მუდმივი საწოლებით)

ექიმი დოხნინისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ კლინიკისი ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფი „აპოლო"-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში.

ტელეფონი 5—97.

ექიმი

გ. წინამძღვრიშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 11 საათიდან 1 საათამდის და საღამოს 6-დან 8-მდე. გულის, ფილტვისა და სისხლის სპეციალური. მისამართი: ელისაბედის ქ. 7, სასტუმრო „ბომონდის" ახლოს.

დოქტორი მედიცინისა

[illegible]

კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფების მიღება ოლღას ქ. № 3 სახლი მელიქ. აზარიანცის დილით 8—9-მდე. საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა

ალ. ასათიანის ნაწერი

მიწის საკითხი—
საქართველოში

წინასწარი დაკვეთა შეიძლება „საქართველოს" რედაქციაში.
(10—10)

სტამბა „ცხოვრება" ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 1.